



გამთავლებულია "კომუნისტი"
თბილისი 1940 წ.

აქროველი
ფანჯარისკარი

№ 9-10



ნ. ს. დონოს

ინგოჯიუ საჭოთა წეალქეუბა ნავის ქაიბათონ

- თქვენ რომ მტრის კრეისერს დაუდევნეთ, რა მოხდა შემდეგ?
 - შემდეგ ის დაგვედევნა.
 - როგორ?
 - ჩვენ რომ ნაღმი ვესროლეთ და წეალში ჩავეშვით.
- ინსი წეალში ჩამოყირაფდა.

ОБЛГАТЕЛЬНЫЙ ВЪЗЕМТИ

საქართველოს სსრ. წიგნის პალატი
გამოვიდა 10/11 1940
5
№ 336



საგზურიანი მოგზაობა...

უსაგზურო დასვენებელი...

საგზურიანი

კვლავ მზემ დასწნა სხივები, სიცხეა საარაკო, დღის წესრიგში კვლავ დადგა ზრუნვა სააგარაკო და ოჯახში გამართულ კრების დადგენილებით, კურორტს წასვლა გადაწყდა—ნათესავ-კეთილებით. თანაც განა მართო ერთ აგარაკზე ვაპირებთ? გვსურს ვეწვიოთ ბახმაროს, შოვს, შავი ზღვის ნაპირებს, ბორჯომს, წალვერს, საირმეს, წყალტუბოს და ჭავასა, ზოგან წყლებს მივეძალოთ და ზოგან კი—ჰავასა და რადგანაც ოჯახში მე ვარ მარჩენალია, ამ საქმის მოგვარებაც ჩემი წმინდა ვალია: უნდა ჩამოვიარო კურორტების სერია, სადაც აგარაკები მაქვს მე დასაჭერია. რთული ამოცანები ცხვირწინ წამომეტუზა, გულში ეჭვი ჩაბობდა, როგორც ზღვაში მედღუზა: —როგორ გავწვდეთ,—ვიძახი,—ამ რთულ ოპერაციებში? სიცხეში სულს ძლივს ვითქვამ, ფიქრში მაინც მაცოცხლეს. მაგრამ ციებ-ცხელებით საქმეს არ მოევლება, როცა ნათესავთ შტატი სახლში ჩავემრეველება? მათთვის პატივისცემა, მათთვის ხელგაშლილობა — აი, რასა გულისხმობს ჩვენებური ზრდილობა. მაშ შორს ჩემგან ყოყმანი, სევდის გამჩაღებია, აგარაკის ტრფიალი გულში დამჩახებია!...

ბორჯომს ჩაველ, სიგრილემ გული გამიხალისა, ზრგვლივ ღელავს ფიჭვნარი—მიმზიდველი თვალისა, — ტყეში გვრიტი ღელუნებს, პარკში—გული ქალისა, ისმის ჭახის ზუზუნიც—ვით ხმა ბუზანკალისა... წყურვილმა შემაწუნა, დამკრა სიცხემ ალისა, მაგრამ შოვნა ვერ შევსძელ იქ ბორჯომის წყალისა. სასტუმროში რომ შეველ, დავრჩი გაქვავებული: თითქმის სამზარეულოც იყო დაკავებული. გამგეს ვსთხოვე ოთახი—ის იჭდა დაბღვერილი. —გიშოვითო,—თუ კი გაქვს პროტექციის წერილი, თუ არა და კუნჭულის ნახვაც გაგვიჭირდება, ისიც შემოდგომამდის ლოდინი დაგჭირდება... შემდეგ მოვინახულე აგარაკი წალვერი. წელს—კერძო მებატონეთ დაჰკლებიათ საღვერი, რადგან დასასვენებელ დიდ სახლების სერია

კვლავ გაზრდილა და ირგვლივ მთები დაუჭერია მაგრამ სადაც შევედი, თუმცა გულით მწყუროდა, „გამარჯობაც“ არ მითხრეს არსად უსაგზუროდა. ეს რომ კერძომ გაიგო, უღვაშში ჩაიციხა, ჩემი გაფიქვენის განზრახვა გულში ღრმად ჩაიწვინა... ოთახი რომ მაჩვენა—მე საქათმე მეგონა, — მისი ქირა სეზონში ორ ათასად შეკონა: —როგორ?—ორითასი ამ საქათმის ფასად? —ვა, თავს რატომ ილანძღვ?—მითხრა ბრძენის მსგავსად, —ეს რომ საქათმე იყოს, და შენ დასდგე იქ ნებით, მაშინ ხომ გამოვა, რომ შენც ქათამი იქნები? ქათამს, კი როგორც ვიცით, არ უნდა აგარაკი და ცხრა კურორტს არ იცვლის მის ცოლი—ჰაკარაკი,

ამ უდავო არგუმენტს რით დაარღვევ კაცია? მით უფრო რომ ირგვლივ სჭვრეტ—ბუნება წარმტაცია, ცა ლურჯია, ტყე—მწვანე, ფიჭვნარს ღელვა უხდება, და იცი, რომ საღდერიც ნაღდად გაგისუქდება. უსიტყვოდ დავეთანხმე... დაუფტოვე ფასი და კვლავ სხვა კურორტს ვეწვიე, მართლა, არა ყასიდად. დავიბევე იქაცა, მივეცი ათასი და გამოვბრუნდი—ბოხჩებია, მაფრაშების საზიდად. ასე, მებარგულობას განა ერთგან ვაპირებ: მიწვევს წასვლა ბახმაროს, შოვს, შავი ზღვის ნაპირებს, ბორჯომს, წალვერს, საირმეს, წყალტუბოს და ჭავასა, ჩემს ნათესავ-კეთილებს უენაწილებ ჰავასა.

კვლავ მზე ართავს ალმურს და ბული დგას საარაკო, მაგრამ უფრო მაცხუნებს—სიცხე სააგარაკო. მას დაგნატრი, ვინც საგზურს დაეუფლა თავიდან: ვინც კურორტზე, უბარგოდ, უმაფრაშოდ წავიდა, უნავთქუროდ, უქვაბოდ, ულახანკოდ სეირნობს, ისვენებს და ხალისით მისი გული ჩვირნობს, ვინც ფიჭვნარით სუნთქავს და თან სღვეს შვებია იმედი, რომ არა ჰყავს ნათესავთ—ფართო ასორტიმენტი!

„ინგლისის პრემიერმა ჩერჩილმა, ამ უკანასკნელ ხანებში განხატურებით გაახშირა სიტყვების წარმოქმნა მიკროფონთან ბრიტანეთის მდგომარეობის შესახებ...

(გაზეთებიდან)

მიკროფონს ჩასცქერის
ჩერჩილი მწუხარე
და ტალღებს ატოვებს
სიტყვები მჭუხარე.

ტოკავენ ეთერში
რადიო-ტალღები,
ბაქით და ბუქობით
გრძნობათა წამლები.

სამხედრო მინისტრი
და პრემიერი,
პოსტებიც კარგია
ხმაც მშვენიერი.

ტოკავენ ტალოები,
ტოკავენ გულები,
მარცხით მრავალგზისით
ნესტარდაკრულები.

* *

დიდი ბრიტანეთის
ფიქრობდა ლომია,
რომ ომის დაწყება
ფაფა და ლომია.

რომ ომის მოგება
ჩინური ფლავია,
და მას გამარჯვება
ხელში უკავია.

რომ საქმარისია
აქორხოს ფაფარი
ლომმა, რომ მის შიშით
ათრთოლდეს მთა-ბარი.

მაგრამ ო განგებავე
არ იბერის მთა-ბარი,
და თვით ლომს დაკოდილს
კუდი აქვს ამწვარი.

და რიკიც კუდისა
ხერხემლის ძმუნება,
მას ტანზე მიაკრეს
ალარ იხსენება.

მაგრამ ვინ იჯავრებს
კუდი რა დღეშია,
როს კუდის პატრონის
თავიც საფრთხეშია.

* *

ბრიტანელთ ბელადნი
ძვირფასად გალობენ,
ლომის კუდს ლომის თავს
ბრძნულად მკურნალობენ.

„რა წამლით კურნავენ?“ —
თუ შეშეკითხებით
გეტყვით — მიკროფონთან
წარმოქმულ სიტყვებით.

ჩასცქერენ აპარატს
და ბაქი-ბუქობენ,
ბრიტანელთ მხედრობას
გმირობას უმკობენ:

„ჩენა გვყავს,
რაცა გვყავს —
საბა სამაგალითო
მტრისგან თავს უშველეთ,
გამოვასწარითო.

ეს ვქვნით, ის ვქვნით
ესა გვაქვს მიზნადო,
და კვლავ ასე ვიხამთ
ან ისე ვიხამთო.



ა.ხ. 40

— არ ვიკვირს, ბიჭიკო, აქლემის თვისება: ამ კუზში, ის, ორი დღის საცვებს იმარაგებს ხოლმე...

— სრულებითაც არ მიკვირს, შენ აქლემი არა ხარ, საწყობის გამგე ხარ, მაგრამ ორი წლის სამყოფი მარაგი კი გაიკეთე.

და თუ მარცხს შევემთხვით,
იქნება რევანში,
კვლავ რეკორდს ავიღებთ
მტრისგან გაქცევაში*.

* *

ტოკავენ ეთერში
რადიო-ტალღები,
ბაქით და ბუქობით
გრძნობათა წამლები.

ეს, ტყვილად ფიქრობდა
ბრიტანელთ ლომია,
რომ ომის დაწყება
ფაფა და ლომია.

რომ ლომს გამარჯვება
ხელში უკავია,
და ომის დაწყება
ჩინური ფლავია.



მენავე ეგნატეს არმიში წასული შვილი ესტუმრა. — დედა, შენ გენაცვალე. ჩემო ვაჟაკო! — ეხვეოდა დედა. სამი უმცროსი ძმაღვ გაკვირვებით და აღტაცებით ათვალიერებდა მოსულ ვაჟაკს.

ეზოში ეგნატე შემოვიდა. გადაეხვია შვილს. — შენ კი გენაცვალე. დავაჟაცებულხარ, რა ჩაგიცვამს ბიჭო, ეგ?

— ტანისამოსია, მამა. — კი, მაგრამ რა მოხელე ხარ შენ ახლა? — მენავე ვარ, მამა. — მენავეობისათვის გაგიშვი ჯარში? მე მინდოდა, უფრო სასარგებლო კაცი გამოსულიყავი, მენავეობას აქაც კი ისწავლიდი.

— ის ცოტა სხვანაირი მენავეობაა, — ჩაიციხა ილიკომ. — იმ ნაგუს ნიჩბები არ სჭირდება და ვერც გიჟურაზე გამოდგება.

ეგნატეს, რომელიც სწორედ გიჟურაზე იყო მენავედ, გაუკვირდა:

— მასეთი ნავი მე არ გამოვიდა. გარკვევით მითხარი... — ჯერ დამსვით, მშინ, მერე გიამბობთ. — უბასუბა მენავეობა ვაჟმა.

— მოგიკვდეს დედა, სიხარულმა ყველაფერი გადამაფიქრა... დაჯიქი, შვილო, ახლავე იქნება ყველაფერი... ილიკო ერთ კვირას დარჩა შინ. მის ნაამბობს ხარბად ისმენდნენ არა მარტო ეგნატე, არამედ შისი ძმები და მეზობლები.

ორჯერ მოხსენებისათვისაც მიიწვიეს საკოლმეურნეო კრებაზე.

* * *

სამი თვის შემდეგ ილიკოს უმცროსი ძმა დევი წითელ არმიში გაიწვიეს, მეორე წელიწადს იგი გიჟურას მოადგა.

— მენავე! — მოესმა ეგნატეს ლამით და როცა ნავი გაიყვანა, მას დევი გადაეხვია.

— შენც ეგ ჩაგიცვამს, ბიჭო?

— ილიკომ თუ ჩაიცივა, მე ნაკლები ბიჭი ვარ თუ

— შენც იმას მისდევ? შენც მენავეობა დაიწყე?

— მეც დავიწყე...

— შენც ილიკოსთან ხარ?

— სწორედ ილიკოსთან...

დევიც ათიოდე დღეს იყო სოფელში. მასაც ყურადღებით უსმენდნენ, ახალგაზრდები ხომ სულ უკა დასდევდნენ. და როცა წავიდა, რამდენიმე ბიჭი წაჰყვა მათ შორის მესამე ძმა რევაზი.

— მენავე! — გაისმის რამდენიმე ხნის შემდეგ გიჟურას მეორე ნაპირიდან.

— ვინაა ამ უთენიას? — ჯერობის ეგნატე და ნავი მიჰყავს. ნაპირზე რევაზი დგას.

— რა ჩაგიცვამს, ბიჭო, ეგ?

— ესეც მენავეის ტანისამოსია, მამა...

სოფელში იგივე ამბავი მეორდება. გაბრუნებულ რევაზს კვლავ მისდევს რამდენიმე ბიჭი, ზოგი კი შემდეგ მიდის: „ყოველ შემთხვევისათვის“ რევაზი მისამართებს უტოლებს ამხანაგებს.

შემდგომ წელიწადს ეგნატეს ერთად ესტუმრა სამივე ბიჭი.

— რა ამბავია, თქვენსკენ, მენავეებო?

— კარგი ამბავია, მამა.

მენავეები მოედევნენ რაიონს. ნათესაებში დადიოდნენ თუ კრებებზე, ყველაგან წითელი არმიისა და ფლოტის ამბებს ლაპარაკობდნენ. ფლოტზე მეტს ლაპარაკობდნენ, როგორც ფლოტელები. ჩამოსული იყვნენ წითელარმიელები და მეთაურები. ისინიც იმავე ობიექტზე ლაპარაკობდნენ, ოღონდ არმიის მეტად უსვამდნენ ხაზს. ეს გასაგებიცაა.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და ეგნატეს უმცროსი ვაჟი ვანო სადღაც დაიკარგა. ცაში ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერს გაიგო.

ღამე იყო. ეგნატე გიჟურას პირს იჯდა და ვაჭებზე ფიქრობდა.

— მენავე!

ეგნატემ ნავი გაიყვანა და ვანო დაინახა. სიხარული-საგან ცრემლები მოერიდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— რა ჩაგიცვამს, ბიჭო, ეგ?

— ის არის... მენავეის ფორმა, მამა, ვეღარ დაიხ...

— ხომე?

— კი მაგრამ სადა გყავთ ამდენი ნავეები? ეს მაინც ცოტა სხვანაირი ფორმაა...

— ნავეები ბევრი გყავს... ეს, მართალია, ცოტა სხვანაირი ფორმაა. მეც ცოტა სხვანაირი მენავე ვარ: საჭაერო მენავე...

— დიდება შენდა, უფალო... — კინაღამ პირჯვარი გადაიწერა ეგნატემ, — მფრინავი-მენავე რაღაა?

გამოირკვა, რომ ვანო მფრინავი ნავის პილოტი იყო. ამის შესახებ მან ბევრი ილაპარაკა ამხანაგებთან, მეზობლებთან, კრებებზე, შემდეგ ფლოტში გაეშურა და მანაც გაიყოლია რამდენიმე ბიჭი.

მენავე ეგნატე და მისი მეუღლე ხშირად ლებულობდნენ წერილებს შვილებისაგან. სამი, წყალქვეშა ნაგზე იყო, ერთი — ვანო — საჭაერო ნაგს მართავდა.

— მენავეების ოჯახი მაქვს. — ამბობდა ეგნატე. — მეც მენავეობაში მოეხუტე მარა, მაგ ჩემი ბიჭების ნავეები პირდაპირ საგახეთოა: ცაშიაც ფრინავენ შევარდნებივით. ზღვაშიც სრიალობენ. წინ ვერაფერი დაუდგებათ მაგ დალოცვილებს.

და ეგნატე სიამოვნებით იცინის. გიჟურაზე ხიდი კეთდება. ხიდია ისეთი, რომ მასზე გაივლის კაციც, ცხენიც, ავტოც და ტრაქტორიც.

— ბიჭო, ამ სიბერის დროს უშუშეგრად მტოვებთ? მენავეობას თვალი შეგსწირე და ახლა მაგდებთ? — ვითომ წუწუნებს ეგნატე.

— ნუ გეშინია, ძია ეგნატე, შენთვის ვიშოვით საქმეს, — ანუ გეშებენ მას, — ამ ხილთან ჩვენ სანაოსნო აუზი გვექნება...

სანამ აქ ხიდი შენდება, იქ, შორს, საზღვრებთან ბრძოლები იმართება. მენავეის შვილები მონაწილეობენ ამ ბრძოლებში და დედ-მამას წერილებს სწერენ. ეგნატეს მეზობლებს გახუთები მოაქვთ და უკითხავენ მოხუცებს.

— მოიტა, მოიტა, მე თვითონ წავიკითხავ. — და ეგნატე ხარბად კითხულობს დიდებული ბრძოლების ამბებს.

— ჰაი, ერთი ახლა იქ მამყოფა! — გაიძახის ეგნატე. — იქ შენი ნავი არ გამოდგება, ჩემო ეგნატე, — სულ სხვანაირი ნავეები უნდა, — არწმუნებენ მეზობლები. — ვიცო, მარა მაინც...

ბოლოს ეგნატეს კიდევ მოუფიქრა ერთი წერილი. იმის ისეთი ამბები იყო, რომ ჭარბად მოხუცნი ეგნატე დაიწყეს.

— დიან, ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით, — ამბობდა კოლმეურნეთა კრებაზე ეგნატე და წერილი ხელში ეჭირა. — ჩემი სამი ბიჭი — ილიკო, დევი და რევაზი ნავით წასულიყვნენ ბრძოლაში მე რომ მაქვს, ისეთი ნავით კი არა, წყალქვეშა ნავით. ორი-სამი გემი კიდევ ჩაუძირეს თურმე მტერს. მეგრე ყინვა ამოვტეხათ და ზევით ზღვაზე ამოსულიყვნენ. ყინული ისევ შეიკრა თურმე და ეს წყალქვეშა ნავი ზედაპირზე დარჩა. სწორედ ამ დროს დაუნახავთ იმ მამაძაღლებს...

— მტრის თვითმფრინავებს?

— ჰო, ჰო! დაუნახავთ და დაუშენიათ... სად გინდა წახვიდე? იმ ჩემი ბიჭების ნავი წყალქვეშა ნავია. ყინულზე ვერ ცურავს. ჩემი ნავი რომ ყოფილიყო, ვტაცებდი ხელს და წავათრევდი. მარა ის ნავი მძობია. ფოლადისაა... ჰო და ამ ჩემს ბიჭებსაც დაუშენიათ, რალაც ხენიტის ზარბაზნები ჰქონიათ, უბეგბიათ, ჩემო ბატონო და, ერთი ჩამოუგდიათ კიდევც...

— აი, ეგნატე... — ჩამოუგდიათ, მარა დარჩაილა ორი... უტრიალებენ თურმე თავზე და უშენენ ყუმბარებს, უშენენ და ეს ბიჭებიც უხაპუნებენ.

— მერე? მერე?

— მერე და ამ დროს მოფრინდა თურმე ჩვენი ჰაერობლანი. ჰაერობლანი კი არა, ნავი, მარა მფრინავი ნავი... ეცა თურმე და ხუთ წუთში იმ ოსტრი მტრის ორივე ჰაერობლანი ჩამოაგდო ძირს.

— ყოჩაღ ბიჭო...

— ჰო და, მეზობლებო, იმ მფრინავ ნავში ეს ჩემი პატარა ბიჭი ივანიკა არ ყოფილა! ბიჭო, მე მეგონა, დაწვრილი იყო. იქ ცხვირს ვინ მოსწმენდს მეთქი, მეში-ნოდა; ჯერ ოცი წლის არცვია და თურმე ეს ნავით ფრინავს და ორ-ორ ჰაერობლანს ჰყრის ძირს... ახლა კი შემოძლია ვსთქვა — ბედნიერი მამა ვარ მეთქი! ამით ეგნატემ დაამთავრა სიტყვა და დაჯდა. ტაშის გრიალში მოხუცი ხელში აიყვანეს.

ალღარ-ალღარხან.

ნახ. კანდელაკი

საკურობო ინტრიგა



— ცუდად გვემსახურება კურორტის გამგეობა: ოთხი დღეა აქ ვარ (და ლამის არის მზემ ტვინი ამოიღოს!

ელამ სიზმარი იხილა

„თურქებს განზრახვა ჰქონდათ
გს დასწროდნენ ბათუმს“
(გაზეთებიდან)

ნახ. გ. თოიძის



ელამ სიზმარი იხილა:
შეკრებილიყვენ ადები.
წინ მოუძლოდათ მისტერ ჯონ.
ვით ყოჩი განალაღები.

ჯონმა სთქვა: „ჰა, თქვენ ბათუმში
და ფორთოხლების ბაღები;
მიირთვიით ლულა ქებები,
ერბო, იალი, ნაღები...“

გამოეღვიძა თურქოლდის
უცერ დაეცა თავზარი.
ველარ იხილა ბათუმი
და მიდამონი მწყაზარი.

კვალად დახუჭა თვალები,
კვალად ეწადა ძილია;
იფიქრა: იქნებ კვლავ ვნახო
სიზმარი ასე ტკბილია.

მართლაც ესიზმრა მისტერ ჯონ,
მასთან ჩანჩურა ადები;
შორით მოსჩანდა ბათუმი
და ციტრუსების ბაღები.

წინ მიდის ჯონი და უკან
ადები მიჩანჩალობენ.
მადა აღძვრიათ მსუნაგებს,
ბაიათებსაც გალობენ.

მაგრამ... უეცრად ეს ჯონი
გაჰქრა აღარსად არ არი,
ჩანჩურა ადებს ამავე დროს
გადაულახავთ საზღვარი.


მოდის საბჭოთა მესაზღვრე
მაინცდამაინც არ ბრაზობს.
გამხნევებული ამ ქცევით
აღა მას სალამს სთავაზობს.

მაგრამ მესაზღვრემ გულგრილად
ყურში ჩაავლო ხელია:
„სხვაც ბევრი დაგვიქერია
ჩვენ შენი მსგავსი მელია!“

გამოეღვიძა კვლავ აღას
ატარდა ცრემლით ცხარითა;
ამბობდა: ვერ გავიხარე
ვერც ცხადით, ვერც სიზმართა
გრიგოლ ცეცხლაძე

გახსოვს ზურავი?

(ტურფა მარიანას (საფრანგეთის) წერილი
ჯონ ბულის (ინგლისს).



გახსოვს ტურფავ, მიუნხენში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით? —
ნეტა იმ დროს, ყოყოჩობის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით,

ცა ცილინდრად არ მიგვაჩნდა,
მიწას—ტუფლად არ ვაგდებდით,
და ამ ქვეყნად რაც გაგვაჩნდა
სულ იმისთვის ვამზადებდით

და ვნატრობდით სხვისი ხელით.
ოღარიდან წაბლის კრფვას,
ვოცნებობდით, საბჭოეთშიც
მივსხდომოდით ფართო სეფას

ამისათვის შენგან წულღი
მეც დამქონდა ხლართი მტკიცე,
რაოგან უჭკნობ სიყვარულის
უცვლელობა შემომფიცე.

შენ დასწერე ვრცელი პაქტი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი, ჩემო გიჟო,
ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა!

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ „გიჟმა“ რა იცოდა.
რომ იმ პაქტთან ერთად შინი
სიყვარულიც დასჭკნებოდა!

გახსოვს ტურფავ, როცა დაგვცხეს,
რაც მე შენთვის სისხლი ვღვარე?
შენ კი შველის მაგურად —
ჩვეულებრივ გამეპარე,

და დავრწმუნდი, ჩემთან ტრფობით
თურმე შენ თავს იფარავდი
და გაქცეულს შეგამჩნიე,
ჩემს ნივთებს რომ იპარავდი.

აფსუს ტურფავ, რა ვიცოდი,
თუ შეგეებს იკადრებდი,
და ორჭოფი ალბიონის
ნომრებს თვით მეც მიჩვენებდი.

თუმც მე წავეხდი, ტურფავ, მაგრამ,
მაინც გეტყვი გატეხილად:
შეიძლება არც შენ შეგარჩეს
უპირობა... იყავ ფრთხილად.

მითხრეს ახლა, უილაჯოს
აწაპნავც რომ დაგიწყვი:
საბჭოეთის ოქროები
თურმე ჯიბეს ჩაგიწყვი.

აფსუს ტურფავ, შენ კადრულობ
მაგგვარ საქმეს საჯიბგიროს?
ფრთხილად, ფრთხილად, მონაპარი
ხახაში არ ვაგეხიროს.

თარსი



ტიტიკო ფრენიაშვილს არ უყვარდა ერთ დაწესებულებაში დიდხანს დარჩენა.

— რა ამბავია ტიტიკო, ყოველ თვეში რომ იცვლი სამსახურს?

— შეეკითხა ძველი ნაცნობი, არტელის თავმჯდომარე ჭიჭიკო ბუზუკაშვილი.

— რა ვქნა, ისეთი ხასიათი მაქვს, რომ ერთ ადგილს მწყინდება და მეორეც, კაცო, ჩემი შესაფერი ადგილი არ შემხვდა.

— რანაირ ადგილს ეძებ, ჩემო ტიტიკო?

— რანაირს და, სულ მოანგარიშეთ ვარ კაცო, აგერ ოცდახუთმეტი წლის კაცი ვარ და არ იქნა არ დამაწინაურეს. აბა მე ახლა მთავარი ბუღალტერი არ უნდა ვიყო?

— შე კაი კაცო, ერთ თვეზე მეტს დაწესებულებაში არ იცდი და როგორ გინდა, რომ დაგაწინაურონ?

— იმიტომ არ ვიცდი, ჩემო ჭიჭიკო, რომ არ მაწინაურებენ.

— იმიტომ არ ვაწინაურებენ ჩემო ტიტიკო, რომ არ იცდი. კაცო, უნდა გავიცნონ: შენი მუშაობა შესწავლონ და მერე დაგაწინაურებენ.

— შენ რატომ მეუბნები ამას ჭიჭიკო, ის მიკვირს, თუ არა სხვას რომ ეთქვა კი არ გამოიკვირებოდა. შენც ჩემსავით არ დაფრინავდი ერთი სამუშაოდან მეორეზე, სანამ არტელის თავმჯდომარედ წამოსკუპდებოდი? კაცო, შენი დაწინაურებისათვის თუ არ იყო საჭირო შესწავლა და დაკვირვება, რაღა ჩემთვის უნდა გაჭირდეს ხაქმე? შენ ხომ მიცნობ...

— გიცნობ, ჩემო ტიტიკო, მარა საქმეში არ გიცნობ. თუ არა რა დაგიმალო თვითონ ვეძებ ბუღალტერს, ჩემი არტელისთვის.

— მერე და, შე ურჯულოვ, ჩემს უკეთესს ვის იშოვნი?

— ბუღალტერია კარგად იცი?

— ოცი წელიწადია ამ დარგში ვმუშაობ და ეს თუ აღარ ვიცი, აბა რაღა ჯანაბა ვიცი. საათივით ავაწყობ საქმეს, ოღონდ შენ მთავარ ბუღალტრად დამაყენე.

— ეს ძალიან კარგი, ჩემო ტიტიკო, მარა ფრენა რომ გიყვარს, იმას რა ვუყოთ?

— თუ კი ისე კარგად მომაწყობ, ჩემს ხასიათს რომ უნდა, ფეხი კი არ შეჯავა იქით-აქეთ ვიბრბინო, მე მაინც ასეთ პირობას ვღებ თქვენთან: მომეხასიათება დავრჩები, მომეხასიათება წავალ.

— ეს კია ცოტა უხერხული, მარა რადგან ჩემი ძველი მეგობარი ხარ, რა გაეწყობა, ამზედაც დაგთანხმდები.

სამაგიეროდ შენც უნდა მომცე პირობა: რასაც მე დაგავალე, პირნათლად შეასრულო. დაწესებულება მე მბარია, პასუ-

ხისმგებელი მე ვარ. ჩემთან სამსახურის დროს უნდა კარგად გახსოვდეს: მე რასაც გეტყვი, ის უნდა გააკეთო და არ უნდა გააკეთო, როგორც მე მინდა.

— კი მარა, ხომ იცი ბუღალტერიც პასუხისმგებელი პირია დაწესებულებაში...

— ვიცი და არც შენ დაგტოვებ გულნაკლულად.

მეგობრები შეთანხმდნენ და ტიტიკომ დაიწყო მუშაობა ჭიჭიკოს არტელში, მთავარ ბუღალტრად.

პირველად საქმე ჩინებულად მიდიოდა. ტიტიკო და ჭიჭიკო შეთანხმებულად „აკეთებდნენ საქმეებს“ და „გამოსარჩენიც“ კარგი ჰქონდათ.

მაგრამ „ერთი დრო არავის შერჩენიაო“ ნათქვამია.

ერთ მშვენიერ დღეს, არტელისათვის მტკიცე ფასებში გამოტანილი საქონელი კერძო პირის ხელში აღმოჩნდა.

სათანადო ორგანიზებმა საქმე გამოიძიეს და გამოიძიების შედეგად არტელის თავმჯდომარე ჭიჭიკოს მისცეს „საგზური“ ციხეში.

დარჩა ტიტიკო ობლად.

ობლობას კიდევ გაუძლებდა, მაგრამ „გამოსარჩენს“ მიჩვეულს, მარტო ჯამაგირის ამარა დარჩენა აღარ აკმაყოფილებდა. ახალი თავმჯდომარე კი „მარიფათიანი“ ბიჭი არ სჩანდა.

გადასწყვიტა ტიტიკომ სამსახურის გამოცვლა. ამიტომ ის, ერთ დღეს, სამსახურში სამი საათის დაგვიანებით მოვიდა და მოითხოვა შეედგინათ განთავისუფლების ქაღალდი.

თავმჯდომარემ ახედა-დახედა ტიტიკოს და უთხრა:

— ამხანაგო, თქვენ უთუოდ საპატიო მიზეზი გექნებათ; რომ დაგვიანეთ. ავად ხომ არა ხართ, ან იქნებ მწუხარე ავადმყოფი გყავთ სახლში?

— სახლში ჩემი თავის მეტი არც ავადმყოფი მყავს და არც კარგად მყოფი, და არც მე ვარ ავად.— ურცხვად განაცხადა ტიტიკომ.

— მაშ თქვენ სასჯელი გეკუთვნით, როგორც უმიზეზოდ გამცდენელს.

— გეკუთვნის, მე ხომ არ უარყოფ!— კიდევ ურცხვად განაცხადა ტიტიკომ და თან დაუმატა:— მე თვითონ მოვითხოვ დამსაჯოთ, მომხსნათ, ეხლავე შეადგინოთ განთავისუფლების ქაღალდი.

— არა ამხანაგო,— ახლა უკვე მკაცრად უპასუხა თავზედ გამცდენელს, გულმოსულმა თავმჯდომარემ,— მე ქაღალდს შევადგენ, მაგრამ არა განთავისუფლების, არამედ დაგვიანების შესახებ და გადაუგზავნი პროკურორს.


— ეს იქნება პირობის დარღვევა.

— რა პირობის?

— მე როცა ამ არტელში სამსახური დაიწყო არტელის მშენებელ თავმჯდომარესთან, ჭიჭიკოსთან, ასეთი პირობა მქონდა: მომეხალისება დავრჩები, მომეხალისება— წავალ მეტი.

— თქვენი ჭიჭიკო, მოგეხსენებათ, ეხლა ციხეში „ისვენებს“ და მისი გაცემული პირობების განაღდებას, საერთოდ, მე ვერ ვიკისრებ, მაგრამ ამ შემთხვევაში არც მე დაგირღვევ პირობას. ახლა თქვენი დაგვიანების შესახებ ოქმს გადაუგზავნი პროკურორს, თქვენ საქმეს უთუოდ სასამართლო მალე გაარჩევს და რამდენიმე თვის ხელფასიდან პროცენტებს დაგიქვითავენ. თქვენ, უფლება გაქვთ იფიქროთ, თუ მოგეხალისებათ წესიერად ყოფნა, დარჩებით და იმუშავეთ ჩვენთან, თუ არა, შეგეძლიათ სულ მთლად მიიანებოთ თავი სამსახურს. მხოლოდ მე მაშინ მეორე ქაღალდს შევადგენ, თქვენ მიერ თვითნებურად სამსახურის მიტოვების შესახებ, რასაც უთუოდ მოჰყვება თქვენი ციხეში ვაგზავნა, იქ კი საკმაოდ დრო გექნებათ ფიქრისათვის და დარწმუნებული ვარ, მოგეხალისებათ ჩვენთან დაბრუნება და წესიერად მუშაობა.

„უკანია“ თვითოფრინავთან



— ემ, იყო დრო, როცა უამიხოდაც შესანიშნავად დავფრინავდი..

ბიზნატიზმი და სიყვარული

ბიზნატიზმზე ლექსებს ვთხოვდი,
ვიმღეროდი: „ვარდი, ვარდი!“..
ერთ გადამხრჩველ ბებრუხუნას
მოვეწონე, შევეყვარდი.

არც აცეცა, არც აცხელა,
მომიგზავნა მოციქული.
შემოთვალა: „ტრფობის ალსა
შენ მიეცი ჩემი გული.“

თუ წრფელობა ჩემი გრძობის
შენთვის არის დასაჯერი,
მოდო ვაჟო, ხელს გიწოდებ,
გავიჩინოთ ერთი ჭერი!“

გულში ვიგრძენ დამცირება,
შემეცვალა სახის ფერი,
დამეყვირა მსურდა: „გასწით
შენ და შენი დედაბერი!“

და სასროლად დამემიზნა
ფიშტო ან და კარაბინა,
რომ ხმა მესმა ჯადოსნური:
„დედაბერს აქვს კოხტა ბინა!“.

ბედი კარზე მოგდგომია,
მოიხადე მის წინ ვალი,
არ გაუშვა, შენს ხელშია
სანუკვარი ნატერის თვალი.

თუ გაცივდა რკინა,—მორჩა,
ვერ მოლუნავ შემდეგ, ბიძი,
დედაბერს აქვს კოხტა ბინა,
გაიჯიგე, როგორც პრინცი!..“

გამიბრწყინდა სახე შვებით,
შემოვძახე: „ვარდი, ვარდი,
ბებრუხუნავ, ჩემო მტრედო,
შემიყვარდი! შემიყვარდი!“

ამისრულდა რაც მინდოდა,
გამითენდა შვების დილა,
მაჭახელას ვდრუხავ—ვინმე
თუ სატრფოში შემეცვალა.

მეღუზა

გეოსტაბი მზაკაული

სიცხისაგან ქანცმილეულნი შევედით ონ-
ტოფოს (აბაშის რაიონში გახლავთ) პირველ-
ხარისხოვან და ერთადერთ სასადილოში.
გვექონდა სრულიად უმანკო განზრახვა—გა-
ზიანი წყალის დაღევა.

— გამარჯობა, ისიდორე!—ვუთხარით ჩვენ
ი. ესიავას, რომელიც აქ შეთავსებით ასრუ-
ლებს მზარეულისა და მიმტანის მოვალეო-
ბებს.

ისიდორეს ხმა არ გაუცია. არა იმიტომ,
რომ ცუდი გული ჰქონდეს, არამედ იმის
გამო, რომ საქმეში იყო გართული: დიდი
ხოჭო დაეჭირა და აგურის ფხენილს უყრი-
და პირში.

— რას შერები, ისიდორე?



— რატომ არ გააშველებთ?
— რა მეჩქარება, ჭერ დაიღლებიან და შემდეგ ადვილი გახა-
შველებლები იქნებიან.

— ხოჭოს ვკლავ, — გვიპასუხა მან, — მახ-
წავლეს, ხოჭოს მოსპობა თუ გინდა, აგურის
ფხენილი ჩაუყარე პირშიო... მაინც არ კვდე-
ბა ეს შეჩვენებული... და ისიდორემ შიგ
ქვაბში გადაისროლა აგურით პირგამოტენი-
ლი.

— ახლაც არ მოკვდები? იხარშე და
იყავი მაქ...

— ბევრი გყავთ ხოჭო? — ვკითხეთ ჩვენ
ამ სანახაობით გულშეწუხებულებმა.

— დათვლით არ დამითვლია, მარა თამა-
მად შემიძლია ვთქვა, რომ იმდენი ხოჭო
მთელი რაიონის მასშტაბით არ იქნება, რამ-
დენიც მარტო ჩვენს სასადილოშია. მაინც
რა ბუზივით მრავლდება ეს შეჩვენებული!

- კერძი გაქვთ?
- ჭერ არა, ქარია და...
- ქარია რა შუაშია?
- იმ შუაშია, რომ მტვერს მიყრის ქვაბ-
ში. კედელი დამტვრეული, სახურავი აგლე-
ჯილი, ფანჯრები ჩაღეწილი და მტვერი კი
არა, დათვის ჯოგი შემოვა შიგ...

მართლაც, სასადილოდან სახურავს რომ
ავხედეთ, ყავრის ნაცვლად ლურჯი ცა დაგ-
ვადგა თავზე. გარედ ძაღლმა — ჭეკამ დაამ-
თქნარა და ზანტად კედლის ერთერთ ინ-
ტერვალში შემოძვრა. ინტერვალები იმო-
დენებია, რომ აქლემიც შემოვა შიგ.

— ა, ჩემი სიკეთე! გადი გარეთ! — დაუ-
ყვირა ისიდორემ. ჭეკას ყურადღება არ მი-
უქცევია, ნირიც არ შეუცვლია და კულის
ნელი ქიციანით მივიდა ერთერთ მოსადილე-
სთან.

— მე რა მაქვს, შენ რომ გაჭამო, ხომ
ხედავ, ისიდორემ არაფერი მოგვიტანა, —

მიმართა ჭეკას მოსადილემ.
ჭეკამ იგრძნო თანაგრძობა და თანა-
გრძობითვე გააქანა კუდი, ამოიხრა და
იქვე დაწვა.

— მაგ ძაღლს აქტი შეუყენეს, — დაიწყო
ისიდორემ.

— ბიჭოს!

— ფაქტია. სანიტკომისია მოვიდა, რატომ
ხარ ასე ბინძური და დაუბანელიო, — ხელად
მიარტყეს აქტი. არც ჩვენ დაგვტოვეს: ხო-
ჭოებით და ბუზებით სავსეა სასადილო...
კაცო, სად ვდიო ტარაკანას? დღეში ათასი
ხოჭო მაინც იხარშება ხარჩოში, მარა მაინც
მრავლდება... ფანჯრის მინები გაუტყეხა-
ვიაო, ვრეცხეთ, ვრეცხეთ, ვერ გავრეცხეთ.
„არ გათეთრდების ყორანი...“ რომ არაფერი
ეშველა, სულ ამოვიღეთ მინები. ქე მაინც
ნიავე შემოვა...

— ძალიან უპატრონოთ გაუშვიათ სასადი-
ლო, — შენიშნა ერთმა.

— უპატრონო რას ჰქვია, — გაიცინა ისი-
დორემ, — პატრონი ხუთასია: რაიკავშირი,
მიხა თოფურია, კოტე თოფურია, მე — ისი-
დორე ესიავა. პატრონი ბევრი ვართ, მარა
პრც ხურო და არც ღურგალი არ გვირევიო,
იმიტომაა შეუკეთებელი. ისე, ხორცი და
რამეები თუ მომიტანეს, იცოცხლე, ხარჩოს
ვაკეთებდე: რომ გზამახსენდება მე თვითონ
ნერწყვი მომდის პირში... ხარჩო ტყემლით
და პიმპილით, ხარჩო და ღომი! ვაი, ერთი
მაჭამა, მარა ამ ტარაკანების ხელში რას
ქამ!..

ჩვენ დაგვტოვეთ მეოცნებე მზარეულ-მიმ-
ტანი ისიდორე და აბაშისაკენ გავემართეთ.

3. ონტოფალი.



ეს კაპიტანი 'სუმეტი წელიწადია ამ კრეისერზე მუ-
.ჩაობს. უველაზე უკეთესად იცნობს მაგ გემს.
მაგ გემს თეთრფინელებიც არანაკლებ იცნობენ...

იაგორ ქებურიძე პირზე ღიმილით ხვდებოდა ყოველგვარ ცვლილებას.

როცა შევასწავრობა ერთი დავიდარაბა აუტყდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მან ღიმილით იმართლა თავი:

— მამაპაპიდან ასე მოდიოდა, თორემ მე ხომ არ დამიწყია? — ისე ახალ დროებას ვენაცვალე, მე ხომ წინააღმდეგი არა ვარ? გუნებაში კი გაიფიქრა:

„მამა-პაპის აღმა ხნული, შეიღობვილთა დაღმა ფარცხეს“

იაგორის უზარმაზარი ბოსელი რომ კოლექტივის ბოსლად იქცა და მან გაერთიანებულ საქონელს გადახედა, სული ყელში მოეჭინა, მაგრამ გუნებაში გაიფლო:

„ვიცი ცრემლი მამაკაცსა, შეარცხვენს და არ შეშვენის“

ხალხის გასაგონად კი განაცხადა:

— რა სჯობს ეხლა ამას? დადიან ერთათ ხარები, კამეჩები, რაა მჰინც და მინც „შენი“ და „ჩემი“.

„მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით, ფუტკარი ჭიანჭველათ“.

უკვირდა იაგორ ქებურიძეს, რომ მის ნამოჯამაგირალ ნიკალა აბალაკს დიდ ანგარიშს უწევდნენ მთელ სოფელში, მაინც „ხელი გაუწოდა“ ამ აქტიურ კომკავშირელს...

— ეი, ნიკა! ნიკა! მე თავიდანვე გატყობდი, რაც ბიჭი დადგებოდი! აი დედასა, როგორ გამოდიხარ ეხლა კრებებზე, ლაპარაკი! ხომ იცი?

„ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა“.

ჭირივით ეჯავრებოდა კომკავშირლები იაგორ ქებურიძეს და კერძოდ აბალაკზე ასე ფიქრობდა:

„ვინც ამ ცუდებში უფრო ცუდია, ის არის უფრო ძლიერ ხმინი“-ო.

და გადასწყვიტა თავისი ხანდაზმული ქალიშვილი პელაგია ნიკასათვის მიეთხოვებინა...

— ეხ რა დრო დადგა! პირაქეთ მეხვეწებოდნენ აზნაურები, ქალაქელი ვაჭრის შვილები, ჩინოვნიკები და არ გავათხოვე! ეხლა კი მოჯამაგირე? რას იზამ, ანგარიშია, დროც აღარ იცდის! არა უშავს, ეს მეც დამიფარავს, იქნებ ამდენი სიმწარეც სიტკბოდ შექცეს.

„ოღონდ კი დასტკბეს, რას დასდევს“

თუ სიტკბო სადაურია?“

იაგორმა მოხერხებული დრო ჩაიგდო და ნიკას გაუბა ლაპარაკი:

— როგორ მიხარია, რომ იცოდე, ჩვენს

ოჯახში გაზრდილი რომ ხარ! ეხლა ჩვენ სოფელში თავკაცობ, შენზე უკეთ აბა ვინ ლაპარაკობს? მაგრამ:

„ეს არის მხოლოდ პირველი ბიჭი და მას მოჰყვება თან სიარული“.

კომკავშირელმა ნიკა აბალაკმა დამცინავი ღიმილით დაიწყო:

— რადგან აკაკის ენით მელაპარაკები, მეც ისე გეტყვი: ალბათ გახსოვს:

„შერცხვენს კაცი ბოროტი და თავის ძმისა არ გამტანი“.

იაგორას მოაგონდა თუ რამდენჯერ დაემცირებინა ყოფილი მოჯამაგირე, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, კიდევ შეასხა ქებათაქება აბალაკს და იფიქრა: თუ ეს ერთი მაინც ჩემს ჭკუაზე დადგა, კარგია, მაგას დიდი გავლენა აქვს და:

„ერთი უგუნური რომ შეთხზავს, მას ასი იმეორებსა“

და ხმამალა დასძინა:

— მე, ნიკალა, სხვებსავით არ გეგონო.

„თავი მოუტკვენს ზოგიერთს, რომ იტაცებენ სხვისასა“.

— როგორ არ გიცნობ, იაგორ? მე ეს თავი

ვიდანვე ვიცოდი, აი, ისეთი რომ იტყვიან ხოლმე:

„შეგნით ჭრელი ხარ გველივით, გარეთ კი ბამბის ქულათ“.

ქებურიძემ თითქოს ვერ გაიგო და განაგრძო:

— ჩემი პელაგია კარგი ქალია, ფულიც მაქვს და ხომ იცი? ფული ყველა დროში საჭიროა:

„მეგობრები გვშორდებიან, თუ დაგვაკლდა ფული“.

ნიკა აბალაკი ფეხზე წამოდგა და დარწმუნებით შესძახა ქებურიძეს:

— იყავი პირდაპირი და გაიგე შენი ფანდები ველარ სჭრის, შენ ჩამორჩი ცხოვრებას, აღარ არის კერძო საკუთრება, არამედ სოციალისტური და დაიხსომე, კარგად დაიხსომე:

„არ ვინატრებ შენს ქონებას, არც მსურს ვიყო შენისთანა“.

იაგორმა დაიხსომა და საბოლოოდ დარწმუნდა, აბალაკის პირით წარმოთქმულ აკაკის-სიბრძნეში.

სიგონ—ადა.

პრითაგვიკოს გავლენით

ნახ. ან. კანდელია, იხსა



— ძია, ერთი ბოთლი რვა ნომერი მომეცით.

— რვა არა გვაქვს, ოთხი ნომერია.

— მაშ ორი ბოთლი მომეცით.

ცაზეც და ზღვაზეც ხუთქიმა
ვარსკვლავები რთავს განთიადს.
ამ ვარსკვლავებში, სამშობლოვ,
შენი დიდება ანთია,
მტერთა ხროვა და წყვილიაღი
მას ორიგ' გაუფანტია.

ფოლადის ციხე-სიმაგრე,
ზღვაზე მრისხანედ მკექარი,
უთვალავი და უძლევი
შენი ფლოტია მედგარი,
იცავს ბედნიერ საზღვრებსა
შენს სადარაჯოზე მდგარი.

რევოლუციის ქარტეხილს
წარმოუშვია იგიცა,
იცის უდრეკმა ლაშქარმა —
ბრძოლის წესიც და რიგიცა,
რომ მუდამ შვების შუქს სთოვდეს
შენ რომ დაგნათის—იგი ცა.

„ავრორა“ მისი სარდალი,
შენი პირშოა ქებული,

განთიადს ნიშნავს ძველთაგან
ავრორად სახელდებული,
და განთიადის მედროშედ
მუდამ დგას გალომებული.

მის ყაიდაზე გაზრდილი
ლაშქარი რკინის მთებისა,—
მუდამ იყო და იქნება
თავზარდამცემი მტრებისა,—
ვინც სცადა დინგი გადმოყოს
მიჯნაზე ჩვენი ზღვებისა.

გვანსოვს კრონშტადტის დევების
გრგვინვით გადავლა ლურჯ ზღვისა,
გვანსოვს ნაფანტი ნაპენტი
იმ თეთრ ფინელთა ქურქისა,
მტრებისთვის დაკვრა გმირული,
აწვა იმათი ზურგისა.

ბალტიკა, კასპი, შავი ზღვა.
ოკეანეთა განია,
არკტიკის უდნობ ყინულთა
მარადიული მთანია,—

შენი დიდებით ანთიან,—
მათთვის მზე მიგიტანია.

შენი დროშების სინათლე,
მუდამ მშვილობის მთქვევს
მოკეთის გულსა ახარებს —
მტრებისთვის შხამის მლესავი,
ლუშმანს სრესდი და გასრესავ,
თვით დგებარ სალი კლდესავით.

წითელი ფლოტის დღეობა
ჩვენი ღვინია მარადი,
თვალუწვდენ ზღვებზე გაშლილა
ფოლადის დევთა პარადი,
ითვლის ვაჟაკურ თარიღებს
გმირი—მზით ნამუზარადი.

სალამი რკინის დევგმირებს,
საბჭოთა ქვეყნის ზღვებისა,
სამშობლოს მედგარ დამცველებს
მისთვის მომხვეჭელთ შვებისა,
ჩვენც მეზღვაურად ჩაგვთვალეთ —
ვიყოთ მმუსრავე მტრებისა.

ნიანა


ნახ. ან. კანდელაკისა

მინისკის იღბალი

„ინგლისის თემთა პალატაში ჩერჩილმა განაცხადა, რომ
საჭიროა მინისტრები თავის კაბინეტებში იძინებდნენ...“
(გაზეთებიდან)



— სწორედ იღბალი მოგივიდათ, სერ, რომ ამ სამინისტრო მაგიდაზე გეძინათ, თორემ...
— თორემ რა?
— წუხელის მტრის თვითმფრინავები ლონდონს რომ დაესხნენ, ერთი ყუმბარა თქვენს სახლსაც მოხვდა.



აი, დადგა საკურორტო სეზონიც. გადაწყვიტე წელს კურორტზე აღარ წავიდე, შარშანდელი ჩემი წინდაუხედაობაც ვერ მომინელებია. ამ წინდაუხედაობის შედეგია, რომ ჩემი შეთვალა ანიკო, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდიოდა, დავკარგე. ეს იყო შარშან ზაფხულში. როცა შევბუღებო ავიდე, ადგილკომმა საგზური შემომთავაზა. მალე კისლოვოდსკში ამოვყავი თავი. კურორტის სასტუმრო, რომელშიაც მე დავბინავდი, სამი სართულისაგან შესდგებოდა. პირველ და მესამე სართულებში მამაკაცები ცხოვრობდნენ, ხოლო მეორეში—ქალები. მე პირველ სართულში მოვეწყვე, რა თქმა უნდა, ქალები სჭარბობდნენ მამაკაცებს, მაგრამ რომელიმე მათგანთან დაახლოვება მე აზრად არ მომსვლია; ჩემი ფიქრები, ჩემს დანიშნულს, ჩემს შეთვალა ანიკოს არ შორდებოდა. მაგრამ მოგვსენებათ ახალგაზრდობის ამბავი. შემთხვევით გავიცანი მე-24 ოთახში მცხოვრები მსახიობი ქალი, რომელიც წონის დასაკლებად ჩამოსულიყო. ერთ მშვენიერ საღამოს მის ოთახში გავჩნდი. სანატორიუმში, მოგვსენებათ, ერთ ოთახში მხოლოდ ერთი სქესის ადამიანების დაშვება შეიძლება. ამიტომ ჩემი სტუმრობაც ქურდული გახლდათ. შუაღამე ახლოვდებოდა, როცა კარიდორში ფეხის ხმა გაისმა.

— ეს ადმინისტრაცია ათვალეირებს ოთახებს, — მითხრა მშვენიერმა მასპინძელმა.

მეც თავს ვუშველე, აფიქარდი, ფეხსაცმელები ილიის ქვეშ ამოვიღე და ასე წინდებიანი გამოვიპარე ქურდულად. მაგრამ დახეთ ჩემს უბედურებას! კიბის თავზე სასტუმროს მორიგეს და ექიმს შევეფეთე წინ...

ჩემს დანახვაზე მორიგემ წარბები შეიკრა და თვალები თვალებში გამიყარა.

— რომელი ოთახიდან მობრძანდებით? — შემეკითხა იგი დაცინვის კილოთი, ექიმი კი ჩემს შიშველ ფეხებსა და ილიაში ამოჩრილ „ლიუქსის“ ფეხსაცმელებს ათვალეირებდა.

— თქვენ გეკითხებით, რა გინდოდათ ასეთი ტუალეტით მეორე სართულში და რომელი ოთახიდან მობრძანდებით ახლა? — გამეორა მან შეკითხვა.

ამ ლაპარაკზე აუარებელმა დამსვენებლებმა მოიყარეს თავი. შეიქნა ჩურჩული. მე იძულებული შევიქენი დამესახელებინა ის ოთახი, რომელიც კი ენაზე მომადგა პირველი.

— მე-28 ოთახიდან, — ვუბასუხე მე.

— ძალიან კარგი — მიუხედავად იმისა, რომ თქვენ იცოდით სასტუმროში არსებული წესები, მაინც დაარღვიეთ ისინი. ამიტომ მე იძულებული ვარ ოქმი შევადგინო და სასტუმროს ღირებუროს წარვუდგინო. მე თქვენ გიცნობთ, მე-7 ნომერში ცხოვრობთ, შარიანი ბრძანდებით გვარად.

რაღა ბევრი გავაგრძელო. რადგან ასეთი ამბავს შემდეგ, კისლოვოდსკში ჩემი გაჩერება შეუძლებელი იყო, მეორე დღესვე თბილისისაკენ გამოვემგზავრე.

— რატომ ასე მალე დაბრუნდი კისლოვოდსკიდან? — ჩამოსვლისთანავე შემეკითხა ანიკო.

— აბა უშენოდ მე იქ რა გამაძლებინებდა? — მიუხედე მე.

ამის შემდეგ გავიდა ორი თვე. საღამოთი სახლში ვიყავი, კარი ვიღაცამ დამიკაკუნა. ეს იყო დაახლოებით 40—45 წლის (შეიძლება კი უფრო მეტი ხნის) უცნობი ქალი, სახე შემწვარი ვაშლივით დანაოჭებული ჰქონდა. ცალ ფეხზე კოჭლობდა. უშნოდ გადავარცხნილი ომა მოწითლოდ გამოიყურებოდა (ალბად, შეღებილი იყო).

— შარიანი თქვენა ბრძანდებით? — შემეკითხა იგი ჩიფჩიფით (წინა ორი კბილი აკლდა).

— დიახ, მე გახლავართ, რითი შემიძლია გემსახუროთ?

— თქვენ მე არ მიცნობთ?

— არა, ბატონო, — გამოვუტყდი მე.

— საკვირველია! აბა გაისხენეთ კისლოვოდსკი. ჩვენ ერთს სასტუმროში ვცხოვრობდით.

— მე იმდენად ხანმოკლედ ვცხოვრობდი კისლოვოდსკში, რომ არ მქონდა ბედნიერება გამეცანით.

— როგორ არ მიცნობთ? თქვენ ჩემს ოთახშიც კი იყავით მთელი ღამის განმავლობაში. მე-28 ოთახში ვცხოვრობდი. მე ცივმა ოფლმა დამასხა.

— ეს რაღაც გაუგებრობაა, — წავილულულე შენიღობილი.

— როგორ თუ გაუგებრობა? ხომ თქვენ თვითონ გამოუტყდით სასტუმროს ადმინისტრაციას, რომ ჩემთან გაათეთ ღამე? ანაზე ოქმიცაა შედგენილი, რომლის ასლიც აქა მაქვს.

— მართალია, ეს მე განვაცხადე მაშინ, მაგრამ იძულებული ვიყავი... ბოდიშს ვიხდი, რომ უნებლიედ შეურაცხეთა მოგაყენებ... მე სრულებითაც არ მოველოდი, რომ იმ ოთახში თქვენც ცხოვრობდით... გთხოვთ მაპატიოთ...

— რა? ჩემი სახელი ტალახში ამოსვარეთ და გაპატიოთ? ვის გაუბედეთ ეს? მე თქვენთან ლაპარაკი არ მსურს... მან კარები გაიჯახუნა და მუქარით წავიდა.

სულ მალე სასამართლოდან უწყება მივიღე.

— მე ვთხოვ სასამართლოს, რათა აიძულოთ მოქ. შარიანი გადაიხადოს თავისი შვილის საზრდოდ კანონით დაწესებული ალიმენტი, ვინაიდან იგი ჩემთან დადიოდა. კისლოვოდსკშიც კი წამომყვა და თავს არ მანებებდა. ახლა კი, როცა მისგან ბავშვი მიეყოლა, უარს აცხადებს ალიმენტის გადახდაზე...

თავს აღარ შეგაწყენთ: ჩემმა სიტყვიერმა განმარტებამ არ გასჭრა უძლეველ საბუთზე. მე ალიმენტი მომიხაჯეს თებრონე სამკაციშვილის სასარგებლოდ. რასაკვირველია, ანიკოც დავკარგე: „მე ცოლშვილიან კაცს არ გავყვები“. წარბოიდგინეთ, „უტილდამზადების“ უფროსმა ბულალტერმაც ბლვერა დამიწყო. თურმე ეს თებრონე მისი ცოლის და ყოფილა! ამის შემდეგ აღარც სამსახურში ღირდა ჩემი გაჩერება.

ანდრო შარიანი.


წუნის შიშით

ნ.ბ. დონისა



— ერთი საწოლი მომიყიდეთ!
— თქვენთვის გინდათ?
— დიახ.
— არა გვაქვს.

ნახ. ან. კანდელაკისა




შვავი

სტოცხლობს 300 წელიწადს



ჯოტი

სტოცხლობს 5 წელზე ბევრით მეტს



ინგლისური თვითმფრინავი

სტოცხლობს 6 დღეს და ხშირად უფრო ნაკლებს.

ბენოს სენო ესტუმრა და ერთი ყმაწვილიც მიიყოლია... მოვედი, რომ გასიამოვნო. გაიცანი. ეს არაა ჩემი სიძე... მესამე დღეს ბენო ეწვია სენოს. ორი კაცი ახლო... აბა, მოგიყვანე. გაიცანი. ეს ჩემი ცოლისძმა, ესეც ცოლისძმის ცოლისძმა.

კარგი დრო გაატარეს. ერთი კვირის შემდეგ სენომ საპასუხო ვიზიტი გააკეთა და რამდენიმე კაცი მიიყვანა.

— ამას ხომ იცნობ, ბენო. ჩემი სიძეა, ეს—სიძის სიძე, ეს—სიძის სიძის სიძე, ესეც სიძის სიძის სიძის სიძე.

„დაგეჰცა ოჯახი!“—გაიფიქრა ბენომ, მაგრამ მაინც მზიარულად მიეგება. პატივი სცა. ხოლო როცა კვირა მოვიდა, სენოს მიადგა.

— მოვედით, მოვედით, გაიცანით, ეს ხომ იცი, ცოლისძმა, ეს—მისი ცოლისძმა, ეს—ცოლისძმის ცოლისძმის ცოლისძმის ცოლისძმა. ესეც ჩემი ცოლის დის მულია, ეს მულის მული ეს მულის მულის მულის მული...

„გადაგაშენათ ჳირმა... ამ ჳარს, რა გააძლობს!“—გაუსკდა გული სენოს, მაგრამ სადილი მაინც კარგი გაუმართა.

შემდეგ ჳერზე სენო მიადგა ბენოს.

— ჩემს ბენოს... გაიცანი. ამათ ხომ იცნობ: სიძის სიძის...

— შე კაცო, როგორ ვერ ვიცნობ... შენ სხვები გააძანი.

— ჰო და აბა, ეს ჩემი რძალია, ეს რძლის რძალი, ეს რძლის რძლის რძლის რძალი, ეს სიმამრია, ეს სიმამრის სიმამრი, ესეც სიმამრის სიმამრის სიმამრის სიმამრი...

„დაგწყევლოს ღმერთმა! არ მომაყენა ბათალიონი!“—დაიწყევლა ბენომ; მაგრამ სტუმრებს მაინც დიდებულად მოუღონა.

ეს ნადიმები ძვირად უჯდებოდა, როგორც ბენოს, ისე სენოსაც, მაგრამ ნირს არ იტეხდნენ.

როცა ბენოს ჳერი დადგა, მან ბიძას დაუძახა.

— ბიძაჩემო, შენი მეგობრებიც წამომიყვანე.

და როცა სენოსას მივიდნენ, ბენომ დაიწყო:

— ამათ ჳე იცნობ, ჩემო სენო, ცოლისძმებს და მულის მულს. ახლა ეს ჩემი ბიძა გაიცანი, ესეც ჩემი ბიძის ბიძა, ესეც ბიძის ბიძის ბიძა, ესეც ბიძის ბიძის ბიძის ბიძის ბიძის...

„შეჩვენდი, ამოვარდი...“—იწყევლებოდა გულში სენო, მაგრამ რას გააწყობდა.

როცა სტუმრები დალაგდნენ, სენომ ცალკე ოთახში გაიხმო ბენო.

— ბიჭო, ბენო, ეს ლაშქარი რომ მოგყავს, სიმართლით მაინც მოდი.

— როგორ?

— როგორ და, ცოლისძმის ცოლისძმა და ასე შემდეგ გამიგია, მარა „ბიძის ბიძის ბიძის ბიძის“ რომ იძახი, ბიძის მეათე მუხლი შეიძლება ახლა ცოცხალი ყოს?

— რატომ არა?

— რამდენი წლისაა შენი ბიძა? სამოცდაათის ხომ იქნება?

— აჰ, შენ არ მომიკვდე, მე არ მოგიკვდე სამოცზე მეტის არ იყოს.

— კარგი, სამოცის იყოს, მაშინ მისი ბიძა სამოცდაათის მაინც იქნება, ბიძის ბიძა—ოთხმოცის და მეათე ბიძა ორასის. ორასი წლის კაცი გინახავს შენ?

— კარგი, ახლა მე მომისმინე,—შეუბრუნა ბენომ, იმ კვირას რომ ლეგიონი მომიყვანე და შიგ შენი მოხუცებული სიმამრი რომ ერია, ვახსოვს?

— მახსოვს...

— ჰო და, ისიც გეხსომება სიმამრს რომ თავისი სიმამრი ახლდა, მერე სიმამრის სიმამრის სიმამრი... სიმამრის მეათე მუხლი შეიდასი წლის ხომ იქნება? შეიდასი წლის კაცი რომ საქეიფოდ დადიოდეს გინახავს შენ?...

ამ კამათმა საბოლოოდ გადასწყვიტა ბედი მომავალი ნადიმებისა, რომლებმაც კინაღამ გააკოტრეს როგორც ბენო, ისე სენო.

ბერსიტი

ამასწინათ ჟურნალებში მოთავსებული იყო საინტერესო ცნობები სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ. მეცნიერების გამოკვლევით, ჩვენს ქვეყანაში ახლაც მოიძებნებიან 100 და მეტი წლის მოხუცები. ერთი მოხუცი თურმე ამტკიცებს—150 წლისა ვარო. შეიძლება მოხუცის სიტყვებს ბევრმა უნდობლად შეხედოს მაგრამ ის კი, ვინც სახელგამის 1940 წლის კალენდარს გადასინჯავს, დარწმუნდება, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა სახელგამის ლაბორატორიაში სრულიად გამარტივებულა და კაცს ახლა რამოდენიმე საუკუნეც შეუძლიან დასტკებს მზითაც და მთვართაც.

აი მაგალითები:

ცნობილ ფრანგ მწერალს ოქტავ მირბოს ალბად კარგად იცნობთ. იგი დაიბადა 1748 წელს და სახელგამის წყალობით ვარდაცვლილა 1917 წელს, ე. ი. მირბოს უცხოვრია 169 წელი.

არ გჯერათ? ნახეთ სახელგამის მაგიდის კალენდრის 16 თებერვლის ფურცელი და დარწმუნდებით...

მაგრამ სახელგამს კიდევ უფრო ხნიერი მოქალაქე აღმოუჩენია: 31 მარტის ფურცელზე სწერია „1927 წელს გარდაიცვალა დიდი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი (დაიბ. 1642 წ.). როგორც ხედავთ, პატივცემულ ნიუტონს 285 წელი უცხოვრია!

მაგიდის კალენდარში რედაქტორი ამტკიცებს, რომ გ. წერეთელი გარდაიცვალა 1842 წელს, ხოლო კედლის კალენდარში—1822 წელს (იხ. 25 იანვრის ფურცლები).

რომელია მართალი?

მაგიდის კალენდარს თუ დაუჯერებთ, გენიალური მეცნიერი ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი 1834 წლის 8 თებერვალს დაბადებულა, ხოლო კედლის კალენდრის მტკიცებით (იხ. 2 თებერვლის ფურცელი)—7 თებერვალს.

განსაკუთრებით დაუჩაგრავთ სახელგამის კალენდრის შემდგენლებს ნიკოლოზ ბარათაშვილი. კალენდრის მტკიცებით, ნიკ. ბარათაშვილი ორჯერ გარდაცვლილა—14 და 21 ოქტომბერს. თუ არ გჯერათ, იხილეთ მაგიდის კალენდრის 14 და 21 ოქტომბრის ფურცლები.

საწყალი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალბად ამიტომ თუ იყო პესიმისტი, რომ გრძნობდა—ორჯერ მოგვკვდებო.

თვალსაჩინო კორექტივები შეუტანია სახელგამის კალენდარს გამოჩენილი ადამიანების გვარებშიც:

დამახინჯებულია მ. ვ. ფრუნზეს (31 ოქტ. ფურცელი) და აშ. დიმიტროვის (27 თებერვლის ფურც.) და სხვა მოღვაწეთა გვარები. თურმე 20 მარტს 1897 წელს გარდაცვლილა რუსი პოეტი მაიაკოვი. (ეს ჩვენი გენიალური პოეტი ვ. მაიაკოვსკი გახლავთ ასე „დაჯილდოვებული“, ხოლო 1925 წლის 19 მარტს „აზერბაიჯანელი მწერალი და რევოლუც. მოღვაწე ჰარიმან ჰარიმანოვი“.

ამის შემდეგ კი—აშკარა სარებუსთ ვარჯიში უწარმოებით კალენდრის შემდგენლებს:

„1677 წ. გარდ. ფილოსოფოსი ბენელიქტ ბარუნე სარნოზა (დაიბ. 1632 წ.).“

აბა ვინ გამოიცნობს, რომ ეს რებუსი ბარუნე სპინოზას შეეხება?

და ასე გრძელდება აღმოჩენათა ნიაღვარი. ორში ერთი: ან იუმორისტული კრებულის შედგენა მოუსურვებით სახელგამის მოკალენდრეებს და არ სცოდნიათ თუ რას ნიშნავს იუმორი, ან კურთხევის კრებული გაუმზადებიათ და მისთვის კალენდარი უწოდებიათ.

ჩვენის აზრით, ორივე შემთხვევაში სახელწოდება მაინც შესწორებას მოითხოვდა.

ზრ. ბათოძეილი



— რა მოგართვით ვასამრჯელო?

— რაც თქვენი ნებაა.


— ჩემით როგორ შევაფასო: შინაგან ექიმს სამ თუმნად თავიდან ფეხებამდე გავვინჯე და ერთ კბილში, რა ვიცი, რა მოგცეთ!

ესპარაუზე

ნახ. ღონისა



— კარგი მსახიობია, შვილო, მაგრამ მაგ ჩომერს პაპამაგის უფრო უკეთესად ასრულებდა ახალგაზრდობაში!



კაპე-კაპე

სტადიონზე მატჩი ვნახე,
ბურთი გოლში მიდენეს;
დამსწრეთ მზესუმზირის ფერფლით
ჯიბე გამომიტენეს...

ტირში შეველ, თოფი მომცეს
შელებილი შავადა:
ფეხი ძლივას დავუსხლიტე,
ტყვია ჭერში ავარდა...

ქორებს აჰყვა ერმალოზი:
რიგში ყველგან დგებოდა,
სახლში მაინც წაიღებდა —
თუგინდ კუბო რგებოდა...

ბიძამ გოჭი მომიყვანა
ღირებული თუმნადა...
და სანაცვლოდ ჩემს ოჯახში
სამ თვეს დარჩა სტუმრად...

უნივერსიტეტს ჩავუარე
ხმაურობამ გამაჩერა:
მილიციელი ჩხუბობდა
ნოქარმა ძლივს გააშველა.

აკვლე ბლიაძე

ვლადიმერის სასკოლო წარმატებათა შესახებ დაწერილ ნიშნებზე:

ზოგიერთს ჰგონია, რომ ასეთი ნიშნები არ დაფარავს, ჩინილ ადგილზე იყინებიან: ჩაიწერებიან საკლასო კურსალში, იქიდან მოწაფეთა მოწმობებში გადიწერებიან, შემდეგ არქივში გადინაცვლებენ და სთვლემენ—იქ თუნდაც სამუდამოდ.

ეს მართალი არ არის მოქალაქენო! ასეთ ნიშნებს ფრენას ცოდნით და, რომ ეს ასეა, აი ფაქტი:

ბორჯომი ხომ კურორტია—სუფთა ჰავა, სილამაზე, წყალი, პეიზაჟი და სხვა სიკეთე—მას არ აკლია. ასეთ ადგილზე ყველა კუთხიდან მიისწრაფვიან დასტკბენ და დაისვენონ.

და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასეთ მომჯადოებელ ადგილზე—დაც კი თურმე გულმა ვერ გაუძლო იმ აბეზარ ნიშნებს—ამდგარან და სადღაც გაფრენილან, წასულან უგზო-უკვლოდ.

— მაინც რა ნიშნებით? — შეიძლება დაინტერესდეს ბორჯომის განათლების განყოფილება.

ეს იმ მოწაფეთა ნიშნები კახლავთ, 1938 წელში ბორჯომის საფერშლო სკოლა რომ დაამთავრეს:

თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი ძალიან სიმპატიური ყმაწვილები იყვნენ, უმეტესობამ ფრიალებზე დაამთავრა სკოლა და ფიქრობდა:

— აი ატესტატს მივიღებ, შიგ ჩემი წარმატების დოკუმენტები იქნება, ვაეკაცად მიმიჩნევენ სამუშაოს რომ მოვიტხოვო.

მაგრამ იმ სიმპატიურ ყმაწვილებს უსიმპატიურესი უარი უთხრეს ატესტატების მიცემაზე.

— ჩემო კარგებო, ნიშნები სადღაც დაგვეკარგა, ატესტატებში რა ჩაგიწეროთ?

ამბობენ, საფერშლო სკოლის დირექცია, რაღაც შელოცვას სწავლობს გაფრენილი ნიშნების დასაბრუნებლად.

მართლა? დავიჯეროთ, რომ ბორჯომის განათლების განყოფილებამ ვერც ეს გაუგო?

ზოგრიძე

რადიო ღომხალი

იმის გასაცნობად, თუ რა ნათელაზროვნა და მარტივკონკრეტულია სოხუმის რადიო სადგურის მიერ გადაცემული ცნობები, ჩვენ მოვიყვანთ ერთ პატარა ნიმუშს:

„სოხუმი, 12 აპრილი. 11 აპრილს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სტადიონზე შესდგა ფეხბურთში 3 მატჩი, რომელსაც დაესწრო დიდძალი მაყურებელი. პირველი შეჯიბრება დაიწყო სრულ 3 საათზე.

ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის ოსტატთა გუნდები. თამაში დამთავრდა მოსკოველების სისარგებლოდ 1:0.

მეორე შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ვორონეჟის ოსტატთა ფეხბურთელები. შეჯიბრება დამთავრდა ლენინგრადის გუნდის სისარგებლოდ 3:2.“

ზოგიერთი ახირებული მკითხველის ამბავი რომ ვიცით, შეიძლება მოყვანილი ტექსტი სახუმარო ამბად მონათლოს, ან უკიდურეს შემთხვევაში—სთქვას:

— ეს რა გადაცემაა, ეს ხომ რადიო-ღომხალია?

ჩვენ არ დავეთანხმებით მათ, რადგან უბრალო გასტრონომიული მოსაზრებითაც ეს აშკარა შეუფასებლობა იქნება ღომხალისა. ვინ არ იცის, ღომხალი მშვენიერი პროდუქტია განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა უკვე შემოსულია ბაღის ახალი კიტრები!

მხიარული კრება

მწერალთა კავშირში შესდგა საბავშვო ლიტერატურის სექციის სასწრაფო სხდომა.

სხდომაზე წავითხულ იქნა მოსკოვში არსებულ ბავშვთა მხატვრული აღზრდის ცენტრალური საბჭოს მომართვა, რომ ქართველმა საბავშვო მწერლებმა მიიღონ მონაწილეობა საუკეთესო საბავშვო პიესების, სასიმღერო ლექსების და ქორეოგრაფიულ ნაწარმოებთა ლიბრეტოების დაწერაზე გამოცხადებულ კონკურსში.

ინფორმაციამ კრება მხიარულ გუნებაზე დააყენა: ბევრი მწერლის სახეზე გამოიხატა წინადაქმნობა. არიქა პრემია მე მერგებაო.

განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა კონკურსზე სასიმღერო ლექსის გაგზავნის მსურველი. დანიტერესებულნი თავმჯდომარეს შეეკითხნენ:

— ნაწარმოებთა წარდგენის უკანასკნელი ვადა როდის არის?

აქ თავმჯდომარემ დახედა კონკურსის პირობების უკანასკნელ ფურცელს და გაიღიმა.

— ამხანაგებო, გამოდის, რომ ცოტა დაგვიანებით მოგვსვლია მომართვა: საკონკურსო მასალების წარდგენის ვადა 15 მაისი ყოვილა. დღეს კრ. ოცდათერთმეტია.

ამ განცხადებამ კრება კიდევ უფრო გამხიარულა და შეხმატკბილებული სიცილ—ხარხარი გამოიწვია. თავმჯდომარემ დამსწრეებს წესრიგისაკენ მოუწოდა:

— დაწყნარდით ამხანაგებო, აქ ისეთი არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ეს მომართვა მოსკოვიდან გამოგზავნილია 8 მაისს, დამეთანხმებით, გზაში რამდენიმე დღე დააგვიანდებოდა; ისე რომ რაც გინდა სწრაფად მოგვეწვია კრება. სულ ერთია, 15 მაისამდე ყოვლად შეუძლებელი იყო უზრუნველგვეყო ჩვენი მონაწილეობა კონკურსში. მეორეც, როგორც მწერალთა კავშირის სხვა სექციები. ჩვენც ვხელმძღვანელობთ ბრძნული თქმულებით: „ნელა იარე და უფრო მეტ მანძილს გაივლიო“.

რაც შეეხება მოსკოველ ამხანაგებს, ვერც იმთ დავდებთ ბრალს. ისინი ალბათ ხელმძღვანელობენ მეორე რუსული თქმულებით: „უმჯობესია გვიან. ვიდრე არასოდესო“.

კრება ნასიამოვნები დაიშალა.

გაღალი






1. რომელი წარმოების ნელმძღვანელი გახლდათ. მუშაობდა და უყვარდა თავისივე წარმოების მემანქანე ქალი—ჯულიეტა.




2. ჯულიეტა მემანქანე ქალი იყო და უყვარდა თავისივე წარმოების ნელმძღვანელი—რომელი.



3. მორცხვმა რომელიმე, პირადად რომ ვერ გაუბედა სიყვარულის ახსნა—საქმიან გადასახებელ ქაღალდებს შეაყოლა ხამიჯნური უხტარი.



4. მაგრამ „ბეჯიანი“ მემანქანემ იხე გადაბედა რომელი ხამიჯნური უხტარი, რომ არც შეუტყვია: საქმიანი ქაღალდი იყო, თუ სხვა რამ.



5. გავიდა ხანი. ჯულიეტამ ვეღარ გაუძლო ამდენ დავას, გაწირა თავი დაწერა სატრფიალო ბარათი და დაბეჭდილ საქმიან ქაღალდებთან ერთად მაგიდაზე დაუდო რომელს.



6. რომელი უფრო „ბეჯითი მუშაკი“ გამოდგა, არცა წაუკითხეს ჯულიეტას ბარათი. „საქმეში ჩააქერეთო“ წააწერა ზედ და „შრომა“ განაგრძო.

გავიდა კიდევ დიდი ხანი. რომელი და ჯულიეტამ კიდევ ვერ გაუმხილეს სიყვარული ერთი-მეორეს და მშ მთხრობის ავტორმა სთქვა: „ახი მათზე, რამეთუ არ იცოდნენ რას აკეთებდნენ...“

კაქიჭყაო — ყაჩიჩკაფაქსა ყოვლია



(წიანგაორი რაქინიგზის სამმართველოში)

შესრულდა თუ არა 9 საათი, რკინიგზის სამმართველოში გაქოვცხადლი და დავიწყე ჩემთვის საქირო ხალხისა და სამსახურეზის ძებნა.

პირველ სართულზე დიდი ასოებით დაბეჭდილი განცხადება ვნახე გამოკრული, სხერთო კრების მოწვევის შესახებ—დღის წესრიგად იდგა ერთი საკითხი: „რკინიგზის სამმართველოში კულტურული მუშაობის შესახებ“.

— რასაკვირველია, ამ კულტურულ დაწესებულებაში, უპირველეს ყოვლისა, კულტურაზე იქნება ლაპარაკი, — გავიფიქრე მე და განვაგრძე გზა.

განვაგრძე და უცბად ჩემი ყურთა სმენა მიიბყრო კულტურულ ბგერათა სიმფონიამ: „ბრიყვო“, „არამზადავ“, „საზიზღარო“, „დღესვე მოგხსნი“, „ცხვირპირს დაგამტკრევ“.

— ვინ ლულუნებს ასე კულტურულად? — შევეკითხე იქვე მდგომ მცველთა რაზმის წევრს;

— ეს ჩვენი დისპეტჩერები არიან—სადგურის უფროსებს ამკობენ.

— ასე ტკბილად?

— სულ ასე ტკბილად, ენაშაქრიანი ყმაწვილები არიან და სხვანაირად არ ეხერხებათ ერთმანეთში მუსაიფი...

რაკი მეც ერთობ დავსტკბი ამ კულტურული სიმფონიით, გაქსწიე ვრძელი ტალანისაკენ.

აქ ყოფნას ისევე საბარგო სამსახურისაკენ წასვლა ვარჩიე, სადაც მისი უფროსი ამხ. ლეყავა, მინდოდა მენახა. გზის უფროსის მოადგილის ტენიშევის კაბინეტს ჩაუარე გვერდით. ტენიშევის კაბინეტიდანაც კვლავ კულტურული ლულუნი მოისმა, აი ის „ლულუნი“, უბრალო ენაზე—ლანძღვა-გინებას რომ უძახიან. ყურებში თითები დავიცე და განვაგრძე გზა.

— ალბად აქ თუ უსწავლიათ ჩვენს დისპეტჩერებს ესოდენ კულტურული დიალოგები, — ვფიქრობდი მე, — აქ „ამკობენ“ სამსახურის განყოფილებათა უფროსებს, ისინი თავის ხელქვეითებს, — ხელქვეითები დისპეტჩერებს, დისპეტჩერები—სადგურის უფროსებს, და ასე შემდეგ, ვიდრე—მეისრეებადღე. გზის უფროსის ამხ. ვოსკანოვის კაბინეტთან მიღების მოლოდინში იდგნენ დაქანცული მუშაკები—მატერიალური და ტექნიკური მომარაგების უფროსი ამხ. სტეფანოვი, ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ლოგუა, საორთქლმავლო სამსახურის კადრების განყოფილების გამგე ამხ. მანუკოვი და სხვები.

— ვოსკანოვი მინდა ვნახო, — მივმართე მათ.

— როდის გინდა ნახო? — შევეკითხნენ ისინი ცნობისმოყვარეობით.

— ახლა.

— ჰა, ჰა, ჰა—ჰა—ჰა—ა—ა! — გადხარხარეს ერთხმად.

— რას იცინით?

— შე კაი კაცო, ჩვენ აქვე ვართ, აგერ, მისი კაბინეტის გვერდით და, ხუთი დღის ცდა გვჭირდება მის სანახავად, შენ კი — ახლსვე გინდა?

რაკი ხუთი დღის ლოდინი არ შემეძლო, ისევე ლეყავას კაბინეტისაკენ გავეშურე. იქაც ათიოდე კაცი დამხვდა კარებთან ატულული.

— თქვენც ლეყავას უცდით? — შევეკითხე მათ.

— დიად, ლეყავას.

— ვაგონები გინდათ?

— არა, განცხადებები გვაქვს შეტანილი და პასუხს ველით.

— რამდენი დღეა, რაც შეიტანეთ?

მათაც გადხარხარეს.

— რას იცინით?

— მხიარულ შეკითხვას რომ გვაძლევთ, იმიტომ—შე კაი კაცო, დღეები კი არა, კვირეები თქვი, დეკადები, თვეებზედაც გადადი.

— მიზეზი?

— მიზეზი, ჩვენის დასკვნით, ის უნდა იყოს, რომ აქ აღრიცხვა არ ყოფილა მოდამი და, აღურიცხავი განცხადებები ხომ იცით, ადვილად იკარგება...

— კი მაგრამ, ფეხზე რომ დგებართ, ვერ დაჯდებით მაინც?

— სად დავჯდეთ, როცა აქ არავითარი სკამი არა აქვთ?

ამ ლაპარაკის დროს კორიდორი გაივსო ვაგონებისათვის მოსული კოლმეურნეებით. მათი მიღება ისევე შემანქანე ქალმა იკისრა, რომელიც ვაგონებზე პასუხით „აკმაყოფილებდა“ ყველას:

— ვაგონი გინდათ? — უფროსს არ სცალიან, ვერ შეგიშვებთ...

ამ პასუხმა მეც „დამაკმაყოფილა“ და სანიტარულ სამსახურისაკენ გავეშურე. მაგრამ გზაში უცბად ხალათზე დავიხედე: ჰოი, საშინელება, ჩემი თეთრი ხალათი აჭრელებულიყო საღებავებით, ხელები მომთხუზნოდა მურით და ჭუჭყით. ეს აქაური კედლების და კარების ფერი მიმელო—მათი სისუფთავე ამეთვისებინა.

— მოდი, ჩემო თავო, ისევე აბანოში გასწიე, თორემ ასე სიარული უხერხულია მეთქი, — ვურჩიე ჩემს თავს და უკან გამოვბრუნდი.

მაგრამ ერთმა ცნობისმოყვარეობამ შემაჩერა. ეს იყო გასაზრავნი ფოსტის განყოფილების ხელმძღვანელის მოხსენება: მან უფროსს გაახსენა, რომ დღეს ხაზზე იგზავნება 1981 მიმოწერა წერილ-კორესპონდენციად. დავჯექი და გადავთვალე მთელი ეს ტვირთი: ზოგი უბლაგვესი ენით შეთხზულ სახარებას ჰგავდა, ზოგი აკმაყნილ-ჩაკმაყნილი ჩინოვნიკური ეპისტოლე იყო, ზოგი მრისხანე დეპეშა, ზოგიც თვალცრემლიანი ბრძანება გმინავდა და ემუდარებოდა ხელქვეითებს, ამა და ამ საკითხზე პასუხი გვაღირსეთო და სხვადასხვა დაუსრულებლივ.


დავილაღე, მათი კითხვით თვალები ამიჭრელდა, მაგრამ მაინც გამახსენდა სამმართველოში შემოსვლისას კედელზე გაკრული განცხადების დღის წესრიგის პირველი მუხლი—სამმართველოს მუშაობის კულტურის შესახებ და კარებში გამოსვლისას ხამადლა აღმოვსთქვი:

— კულტურა, ამხანაგებო, კულტურა მუშაობის ყველა უბანზე.



ქირაპყობა ოქანაში
 შოცყობილბით
 ნუბი წაპირფარე
 უ თ ე მ

— ეს ძვირად აფახებს, სხვაგან მოვძებნოთ ახლა ახეთი ბინეის მეტი რა არის ჩვენი ზღვის ფსკერზე?



არაუშავსრა სილამაზის პატრონი, ასე
ოცდაათამდე წლის შავგვრემანი ქალი, არე-
ული ნაბიჯებით სახლისაკენ მიიჭაროდა
და ფიქრობდა:

— „სისულელეა, მტკნარი, ჩამოყალიბე-
ბული სისულელე! განა ქვეყნად იმითმ არ
არის გაჩენილი სხვადასხვა ხილი, საჭმელი.
სასმელი, რომ რაც მოგეწონოს აილო და
მიირთვა?! ძროხაც კი, უჭკუო ძროხა, სა-
სიამოვნო ბალახს არჩევს ბალახთა შორის.
და განა ვინმე სძრაბავს ძროხას ამ საჭი-
ელისათვის?! რომელი ადამიანია ექვს თვე-
ზე მეტხანს რომ ეგუება ერთნაირ საჭმელს?

სასაცილოა, ათასჯერ სასაცილო! დაგძრა-
ხავენ, გაგამტყუნებენ! და მერე რის გამო?
რუთუ ქვეყნად არის ისეთი ადამიანი, რომ
მელსაც საჭმით თუ ვერა, ნატვრით მაინც
არ გაეკეთებინოს ის. რაზეც ასე დასცინის
სხვას და მზად არის ორივე თვალი დახუ-
ჭოს, ორივე ყურში თითები დაიცოს ასე-
თი რამის დანახვაზე და გავიწყდება?

გათავდა! დღევანდელი დილა უკანასკნე-
ლი იყო ვანოსათვის. საზიზღარია საზიზ-
ღართა შორის. აი, თუნდ გუშინდელი დღე:
როგორ შემობაჯბაჯდა ოთახში სამსახური-
დან დაბრუნების შემდეგ! ხალათის გასწო-

რების შროც კი არა აქვს, უბედურს. პორ-
ტფელი? პირდაპირ სასაცილოა პორტფე-
ლით ხელში რომ მოაბიჯებს პროსპექტზე.
კიტრები რაღა იყო? ნეტა! სად აარჩია ის
ბებერი კიტრები?! ქვეყანა ქორფას ეძებს,
ნორჩს, გემრიელს და შენი ბოთე ქმარი კი...

საკვირველია. ათასჯერ საკვირველი! რად
უნდა გაგიმტყუნონ ის. რისაკენაც თითონ
ბუნებამ მოგეწოდა? განა ადამიანს ერთის
მაგიერ რამოდენიმე გრძობა იმითმ არ
მისცა ბუნებამ, რომ უკეთესად გამოარჩიოს
ერთისგან მეორე? თითონ ბუნებამ ადამი-
ანებიც ხომ სხვადასხვა სახის, მოყვანილობი-
სა და ფერის გააჩინა?

შეადარე იმ გამოყვეყჩებულს კოტე!
კოტეც ხომ ინჟინერია? ვანომ და კოტემ
ხომ ერთად დაამთავრეს ინსტიტუტი? რა
უვავთ ერთიმეორეს ვანოსა და კოტეს?
თუნდ გუშინდელი დღე ავიღოთ: შემო-
დის ოთახში სამსახურიდან სახლში დაბრუ-
ნებულნი: კოტე, ხელში ქორფა მარწყვით ავი-
სებული პარკი უკავია და მომმართავს:

— ლუიზა! შენც აქ?

— დიახ, მე და ჩემმა ქმარმა გამოვია-
რეთ, გინახულეთ.

ცეცხლი იყო, ნამდვილი ცეცხლი მისი

ანთებული თვალები. თითქო ოთახს სინათ-
ლე მოუმატა მისმა შემოსვლით. უცნაურ
გრძენი.

და მერე? რამდენნაირ უცნაურებას შენ-
ვლები ქვეყანაზე! ჯოჯოსთანაც კი ბოდიში
უნდა მოიხადო, რომ ასეთ უმსგავსოებას-
თან შედარება ჰკადრო: მარო! კოტეშკას
ცოლი! რა სასაცილოა! როგორ შეხეცივით
წავლიჯა პარკი ქმარს ხელიდან და იმწამს-
ვე გასარეცხად გააბრუნინა... ქამის დროს-
კი, მარწყვის ქამის დროს, რა სასაცილო
იყო, საცოდავი. აფსუს კოტეშკა! კოტე! ჩე-
მოკოწია! შენ კაცი კიარა კრავი უნდა ვერ-
ქვას, პირდაპირ უდანაშაულობასაც კი შერც-
ხვება შენს წინაშე და ვინ დაგსაჯა, რატომ
დაგსაჯა ასე? განა შენ მაროს უნდა უყუ-
რებდე?

რა სასაცილო იქნება ვანო! წაიკითხავს
წერილს, მუხლები მოეკვეთება, შეიძლება
გულიც გადაუფერდეს და გორგალივით და-
იწყოს იატაკზე გორაობა. ქვეთინს მოჰყვება.
იტყვის: „ლუიზა, ჩემო ტკბილო, რა დაგი-
შავე, ხომ იცი, რომ უშენოდ სიცოცხლე არ
შემიძლიან!“ არ შეუძლიან! მერე? განა ამა-
ში ლუიზა დამნაშავეა? იქნებ ლუიზასაც არ
შეუძლიან უკოტეთოთ სიცოცხლე? კოტეს
ხომ ამავე სიტყვებს იმეორებს?..

სწორედ ამ დროს ვანოსაც აწუხებდა ერ-
თი საწუხარი. ან როგორ შეიძლება საწუ-
ხარი არ ჰქონდეს იმ კაცს, რომლის ცოლის
ფიქრებიც აქ გადმოგვეციო! დინჯად დააბი-
ჯებდა ვანო ოთახში. რაღაცას დაეძებდა და
თითოეულ საგანს რამოდენიმეჯერ ათვალი-
ერებდა. პორთფელი აავსო რაღაცა ნივთე-
ბით. ჩემოდანიც პირთამდე გატენა და კარ-
გახანს იყო ფიქრებში გართული. შემდეგ
დინჯად ჩააქნია ხელი, ქალაღის პატარა
ნაჭერზე ხუთიოდე სიტყვა დაწერა და დამ-
ძიშებულის ნაბიჯებით დატოვა ოთახი.

ფიქრებში გართულმა ლუიზამ საკუთარ
ბინაში შეაბიჯა. ვანო სახლში არ დაუხვდა
და შემთხვევით ისარგებლა: მოკლე წერილი
დაწერა. წერილში აუწყებდა ვანოს, რომ
მასთან ცხოვრება აღარ შეეძლო და მეტი
არაფერი.

„ვაი, თუ!!— გაიფიქრა შემდეგ, ცხელი და
ცივი იარაღი გადამალა, თაროდან ნიშადუ-
რის წვეთები გამოიღო. „იქნებ გული წაუ-
ვიდესო!“ და მაგიდასთან რომ წერილის და-
სატოვებლად მივიდა, ვანოს მიერ დაწერი-
ლი შემდეგი შინაარსის ბარათი დაუხვდა:

„ლუიზა!

სევდას და ვარამს ნუ მიეცემი, რას ვი-
ზამთ, ცხოვრებაში ყველაფერს უნდა მოვე-
ლოდეთ. ალბათ შენ თითონაც გრძობ, რომ
მაროს გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი აღა-
რა აქვს. იძულებული ვარ ორ ადამიანს
ვაწყენინო: შენ და კოტეშკას. რა გაეწყობა
— ჩვენ სხვადასხვა ადამიანები ვართ.

ვანო.“

ამ ამბით მხოლოდ მოთხრობა დამთავ-
რდა.

გ. ივანიშვილი.

„გიზაზი“ მოუქებნა



— ეს ცხენი ორი მეტრის მანძილზე გავაგორე და უკვე და-
იმტვრა!

— სხვა პლარა გინდათრა? ეგ ცხენი ბავშვებისთვის არის გა-
თვალისწინებული, თქვენ კი უკვე ოთხმოცამდე წლისა ხართ.

ბოჭორმის (საგარეჯოს რაიონი) სამკითხველოდან, რომლის კარები ყოველთვის დაკეტილი იყო—ინვენტარი დაიკარგა (სამკითხველოს გამგეა ს. გეგოლაშვილი).

სამკითხველო
გამგე

სოფ. ალავერდის (ზესტაფონის რაიონი) სამკითხველოს წიგნებს თავგები ანადგურებენ. სამკითხველოს გამგე ს. ყანჩაველი ზომებს არ ღებულობს.




თავგები:

დიდი მადლობა კეთილ სიმონ, რომ ნება მოგვცა აქ ლაღად ყოფნის, — წარბი ერთხელაც არ შეგრხევა, ისე შევჭამეთ წიგნები სოფლის!

რას ერჩიან?

კორცხელის (ხუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობის წევრები ლულუნი და ვალიკო თოლორაიები მუშაობის მაგიერ მთელ დროს ნარდის თამაშში ატარებენ

გი-კო



— საკვირველია, რატომ გვისაუვედურებენ, ჩვენც ხომ სანარდო სამუშაოს ვასრულებთ!

რეჟისორული ხალხი


ლანჩუთის კინოთეატრში კინო—სურათები ძალიან გვიან იწყება.



— აი, ხომ გითხარი უხმო სურათი აქოზებს მეტქი: მხედავ რატკბილად სმინავთ?



1. სამკითხველოს გამგე: —სამკითხველო დაკეტილია, შიგ ინვენტარია, ახლა მე ფოკუსს გავაკეთებ...



2. ფუ...



3. სამკითხველო მაინც დაკეტილია, მაგრამ შიგ ინვენტარი აღარ არის.



ზრახვი ნოზი სუთი

შერცხალივით წამოფერინდი ლოგინიდან. ამდენი წვიმების შემდეგ, მოწმენდილი ცა და გაზაფხულის მზიანი დილა ვის არ ახალისებს?

დავწყარდი, ტულეტი მოვათავე, და გავსწიე უნივერსიტეტისაკენ ლექციების მოსასმენად. ნიავევით ჩავსრიალდი ქავეკავადის ქუჩაზე. თავო ჩემო, რა იცოდი, რომ ეს დილით აჩუხჩუხებული სიხალისე ასე ხანმოკლე გამოდგებოდა! უნდა იჩქარო თავო ჩემო, ლექციებს უნდა მიუსწრო.

რა არის ამის წამალი?
ტრამვაის მარშრუტი № 5.

ნ-ო-მ-ე-რ-ი-ს-უ-თ-ი-ს...

ტვინში ლურსმანივით ჩამეჭვდა ეს ციფრი, ეს მარშრუტი, თავგადასავალის ეს უშრეტი წყარო.

განსაცდელს ცხოველური ინსტიქტით შეიტყობს ადამიანი. ციფრ-ციფლები და მათყულებინა. „გაჩერებასთან“ ათრთოლებული დავეყუდე. მოლოდინმა თვალი გამიმახვილა, მოუსვენრობამ გულის ცემა ამიჩქარა.

— მოდის თუ არა, მოდის თუ არა? ჩამწივოდა ყურებში კითხვა.

გამოჩნდა... შორს, ჰორიზონტზე ვეშაპივით მოიზღაზნებოდა. მგზავრები ლულადნენ. შეიქმნა ფაცი-ფუცი, მითქმა-მოთქმა. განლაგდნენ, მოემზადნენ — შეტევისათვის. მე, რაც კი ვაქცობა გამაჩნდა, მოვიკრიფე, გულის დაგა-ღუფი დავიწყნარე, მკლავების კუნთები გავისინჯე. ყველაფერი რიგზე მქონდა. ის კი მოდის წარდენიდან დამხსნელ ნოეს კიდობანივით. აი, სულ რამოდენიმე მეტრიდა დარჩა ჩვენს შორის. მგზავრები დრტვინავენ, გმინავენ; ერთმანეთს ალერსით ფეხებსა და ხელებს უსვამენ...

ჩამოდა! — მოაწია განსაცდელის ქამმა. აწკი შორს სიმბდალევ და მოკრძალებავ, რადგან „უამსა ბრძოლისასა იშვების გმირი“.

ვაგონში ერთმანეთს დედაშვილურად ჩაპკვიან. ურთიერთს სთავაზობენ დასაჯდომ ადგილებს. ბევრს უმძიმს ჩამოსასვლელ მიწებებულ მგზავრის განშორება და

ამიტომ არ უშვებს. გასაუფრქველნი შორს გეხსენებათ, მგზავრობის მოსაწყენ წყურბუქში გაელაპარაკებით, გაიცნობთ ვისმეს, თითქმის შეგიყვარდებით კიდევ, და მასთან განშორება ფრიად დიდ დანაკლისად მიგაჩნია.

ალარ მახსოვს როგორ ვაჩნდი ვაგონში, თავზე ხელი მოვიკიდე, მხრებზე მამია თუ არა მეთქი. მგონი მეზა, მაგრამ ზედ კარგად ბლომად მაჩნდა ვაგონში შემოგოგმანების დროს დამსახურებული ალერსიდან დარჩენილი კობები.

ირგვლივ ხალხი მეკვროდა, შიფრთხილდებოდნენ ნიავე არ მიეკაროს და არ გავცივდესო. გული ამიჩუყდა ასე რომ, შეეყვარებოდი და მაფასებდა ეს ხალხი. თვალად ვიღვრებოდი. ცხვირსახოცის ამოღება დავაპირე, ხელი ჯიბისკენ წავიღე, მაგრამ ამ დროს ჩემს მაჯას ვილაცის ღონიერი ხელი მოეჭიდა; ხალხი მისწი-მოსწია და დაიღრიალა:

— უყურეთ, ეს ვაჟბატონი რა პატივისმცემელი ყოფილა უცნობებისა: ჯიბეში ხელი ჩამიყო რომ ფული ამოეღო და ჩემთვის ბილეთი ეყიდნა, — შეწუხება არა სდომებია, ჩემი... ხი... ხი...

— ხე... ხე...

— ჰო... ჰო... ბანი მისცეს მას აქეთ-იქიდან.

იმდენად გაბრუებული ვიყავი, რომ მგონია დავეთანხმე: სწორედ ვგრე მქონდა მოფიქრებული მეთქი.

მათ გული აუჩუყდათ, ამდენი თავაზიანობით რატომ სწუხდები, ერთიც ვნახოთ დაიდალოვო...

— როგორ და რა უფლებით იწუხებ თავს?

— განა მაგიტომ გიფრთხილდებით, რომ ჩვენს მომსახურებაზე იფიქრო?

— მილიციონერს დაუძახეთ, მაგას ქაჩაჩებში ეტყობა, მეტისმეტი თავაზიანი ყოფილა, რისთვისაც კაი მადლობა ეკუთვნისო, — მესმოდა აქეთ-იქიდან.

— მე? რა დავაშავე მე? — წამოვიძახე ხმამაღლა და...

ჰოი, სიხარულო, რაც გადამხდა, ხუთნომრის მოლოდინში და თვით ხუთნომერში, თურმე ტკბილ ძილში შეძენილი ტკბილი სიზმარი — იყო. რის ხუთი ნომერი ტრამვაი, რის ლექციებზე დავვიანება? გამოსასვლელი დღე გათენდა, არსად მეჩქარებოდა.

„ლოლიკა“

ნახ. შ. ლებეშვიცხა.



- გადაპყარ ამ ყანწით, შევერგება.
- არ შემოდლიან, პირუტყვმაც კი იცის ზომიერება.
- იმიტომაც საჭიროა ზომაზე მეტი დაფლიოთ, რომ პირუტყვისაგან განვხვავდეთ...

გ. ეპალბარდიძე

განსახება და მელევი

ნახ. კ. როტოვისა.



— გადავწყვიტე გავხდე ამ აგარაკზე, ამიტომ ცხენით სიარული დავიწყე.
— გახდით?
— მე არა, მაგრამ ცხენი კი — გახდა.

მოსახრება

ნახ. კ. ელისევისა.



— დიდხანს აპირებთ სანატორიუმში დარჩენას?
— თუ ჩემს ქმარს სახლში ჩანმრთელობა ხელს შეუწყობს, კიდევ ერთ თვეს დავრჩები.

ვის როგორ მოუხლება

ნახ. კ. ელისევისა.



— ოცდაათ დღეს დავუავ ერთდღიან დასასვენებელ სახლში და წამოსვლა კიდევ არ მინდოდა.
— მე კი ერთ დღეს დავუავ ჩვენს ჩვეულებრივ დასასვენებელ სახლში და მეტხან დარჩენა ვიღარ შევძელი.




ნახ. ა. კანევსკისა.

სახლმმართველი — ტურისტი: ამ ხეობაში ყველაზე მეტად ეს წყალსასხმელი ორმო მომწონს, არასოდეს გაწმენდა არ დასჭირდება!

ქრონიკული ავადმყოფობა

ნახ. ი. სეზონოვისა.



— რას უჩივით?
— ჩვენს გამგეს კბილი სტკივა.
— მერე რატომ თვითონ არ მოვიდა?
— დაჩვეულია, რომ მის მაგიერ ყველაფერი სხვამ გააკეთოს.

(გადმოკეთებული).

1.

კობტა ბიჭი იყო ჟორა,
სახით სჯობდა მას ვერავინ,
ქალის გულის ხვეულების
დამწყვეტი და დამზვერავე.

და ღონ-ჟუნან ჟორას ერთხელ
ტანაღვა და ბროლოფქალმა,
პაემანი დაუნიშნა
ერთ დღეს ერთად ოთხმა ქალმა.

2.

ჟორამ წარბიც არ შეიკრა,
განიზრახა გულში ასე:
„ოქტომბერში“ თორმეტისთვის
ქეთოს ვნახავ დღის სენსზე.

მაკოს კინო „რუსთაველში“
გავაცილებ ოთხ საათზე.
შემდეგ მერის დაფხვდები
„დამკვრელის“ წინ ექვს საათზე.

პაემანს რომ გავასამებ —
კვლავ ახალ გეზს დავისახავ,
და მშვენიერ მაკრინესთან
„ოქტომბერში“ სურათს ვნახავ.

3.

ჟორა უკვე კინოშია,
იწვის ქეთოს თვალთა ალში,
ეკრანზე კი მთები მოსჩანს —
სურათია „დიდი ვალსი“

4.

სენსი რომ გამოვიდა,
გააცილა ქეთო მარდათ,
და კვლავ კინო „კომკავშირში“
მაკოსავენ გაემართა.

როს შეხედა ჟორამ ეკრანს
დააფჩინა პირი, ხახა:
იმ ეკრანზე კვლავ სურათი
„დიდი ვალსი“ დაინახა.

5.

მოიხადა ვალი მაინც
პირიან კაცს ვით შეჭფერის;
ექვს საათზე იგი კინო
„დამკვრელის“ წინ ხვდება მერის.

ეკრანზე რომ გაიხედა,
გადაესხა ცივი წყალი,
შავ ლანდებში უცებ ჟორამ
ისევ „დიდი ვალსს“ მოჰკრა თვალი.

6.

როს მაკრინე ღამით ჟორამ
შეიყვანა „რუსთაველში“,
ძირს დაეშვა, ხმა ჩაუწყდა
მოებჯინა სული ყელში...

რა ღუპავდა ვაჟკაცს? გულო
რამ ატკინა? რას ჩიოდა?
იმ ეკრანზე იმ დღეს იგივე
„დიდი ვალსი“ გადიოდა.

7.

ვაილოზი

თუმცა ჟორას ახლაც უყვარს
კობტა ქალი თვალწარმტაცი,
მაგრამ კინომ სამუდამოდ
„მოარჯულა“ თურმე კაცი.

რაკი დარჩა „დიდი ვალსით“
მახეში თავგაყოფილი,
ახლა თითო პაემნითაც
დღეში არის კმაყოფილი.

8.

ჩვენ ამ ლექსით მორალს ვამბობთ,
უზრობის არ გვსურს სოდვა,
ერთ მიჯნურთან კინოს ნახვა
არ იქნება, ვიცით, ცოდვა.

მაგრამ ოთხთან პაემანი
საქმე არის სათაქილო,
და ამ პოსტზე მუდამ მტკიცეთ
გვიდარაჯებს ჩვენი კინო.

მ-ზა

„რაინდების“ ომი

(ქუთაისი)

პედინსტიტუტის კლუბშიგან ამავე კლუბის სცენაზე
იუმორისტი მღეროდა იუმორისტულ ენაზე.
ხალხი სიამით უსმენდა, მხიარულებდა ფრიად,
მაგრამ უეცრად გვიქციეს გართობა ტრაველიადა:
მუნ გახლდათ ერთი „რაინდი“ პაპიაშვილად ხმობილი,

საათის უასი

ნახ. ა. კანდელაკისა.



— რა კარგი საათი გიშოვნია, რა ღირს?
— ფასი არ ვიცი, როცა წამოვიღე, მის პატრონს ეძინა.

ჩახოხბილი

სთქვა: ვიცი ერთ დღეს მოკვდება ვაჟკაცი ერთხელ შობილი.
მსურს რომ ვუჩვენო ჯამათს მე ძოქმედება გზარული,
(უნდა შევნიშნოთ: ამ ვაჟკაცს ყანწებით ესვა სვარული).
ვაჟკაცმა ძალის ჩვენება იმ წუთში მოიწადინა,
შემოკრა გაბუნიასა ცხვირიდან სისხლი ადინა,
შემოკრა გაბუნიაამაც შეიქნა აყალმაყალი,
ხელჩართულ ომში ჩაება სხვაც ბევრი ახალ-ახალი.
ფიჩხაძის შემდეგ გავიდა კეკელიძე შილი კოლია.
ყველა მათგანი იძახდა: „კრივში არა სყავს ტოლია“.
ხალხმა დატოვა დარბაზი, მათ დარჩათ მოედანია
ნიანგო, დასცხე ამ „ყოჩებს“, მაგრამ აუწყვი კანია.

ვალ. მუნტრელი

„ჯოჯი ძაღლს და ჯოჯიც უწო“.

(ნოქალაქევის სასადილოში)

სასადილოს მიმტანს ვსთხოვე ერთი ხარჩო, ერთი ღომი,
დაველოდე მაგიდასთან სამფეხიან სკამზე მჯდომი.
ველოდები, აღარ მოდის, სიმშობი და ბრაზი მახრჩობს,
ვფიქრობ, როდის ვედროსები ჩემს დაკვეთილ ღომს და ხარჩოს.
როგორც იქნა მოიტანა ხარჩო, მაგრამ ღომი არა,
და თვითონვე მანუგეშა მოვიტანო ღომსაც ჩქარა.
ველირსე და ვიწყებ ჭამას, მაგრამ ძალი მოდის ღრენით,
შენი კერძი გამიყავო მითხრა ბანდიტური ენით.
მინდა—„ძალი მომავოროეთ!“—მიმტანს ვთხოვო, მოვასხენო, —
ის დამცინის: გაიყავით, ზოგი ძაღლს და ზოგიც შენო.
რალა მექნა, დაემორჩილდი, გადავუგდე იმ ძაღლს ძვალი,
მაგრამ ახლა ჩემს ხარჩოში ტომრის ნაჭერს მოვკარ თვალი...
კორძაბიას ჩვენს მზარეულს, ტორჩინავას ჩვენს მიმტანსა,
ნიანგოჯან, იმედი მაქვს, შენ დაუხელ მაგრად ტანსა.

ცინცხალი

ამხანაგო ნიანგო!

უჩინ-მაჩინი კომუნალიზმი

ამხანაგო ნიანგო! სამწუხაროდ, თქვენი დავალება ვერ შეგასრულე და ცხაკაის რაიონის ამხ. მოღოტოვის სახელმძღვანელოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომანოზ გამსახურდია ვერ ვნახე. არ იფიქროთ, არ მეძებნოს, მაგრამ ნახვა მაინც ვერ მოვახერხე და აი რატომ.

პირველად რომ მივედი, რომანოზი სადღაც „ფოთლებში მიმალულიყო“ და ვგონებ ჭეიფობდა ჩვენი სულიცო.

მეორე ვიზიტზე რომანოზი ერთერთ ახალ კოლმეურნეს „ასწავლიდა ჭკუას“ და ხელი ვეღარ შევეშალე.

მესამეჯერაც ვერ ვინახულე: რომანოზს არახისის დასათესად ნიადაგი მოეწამლა დარიშხანით. მოსახლეობა არ გაეფრთხილებინა და პირუტყვი დახოცილიყო.

მეოთხეჯერ რომ მივედი, რომანოზი, ორ ამხანაგთან ერთად. ნატურ-ვადასახადისათვის გამოყოფილ ნეი კილო სიმინდს იყოფდა და შინ მიჰქონდა. ვეღარ შევაწუხე.

მეხუთხეჯერ რომ მივედი, ნასვამი იყო და ეძინა (გვგმის ჩაგარდნის გამო ჯავერიო დამთვრალიყო) და არ გაიღვიძოს შეთქი. ფეხაკრეფით გამოვიბარე.

ასეთი მდგომარეობაა ჯერჯერობით.

მ. მეთალია



— უკაცრავად, თუ შეიძლება მითხარით: წვიმა რამდენ ხანში გადაიღებს?

ჩვენი ზოგა

გოგას და მამობას (სადგ. მოლითი) ქვემოდ მოყვანილი ლექსის დაწერა, მართლაც რომ მძიმე საქმეა, რასაც, ცხადია, ერთ-ერთი ვერ შესძლებდა. თქვენ გვწერთ:

ჩვენს კოოპერატივის ნოქარს —
(სახელია მისი შალვა),
ქლაფერ უყვარს საქონელის
დახაქვი: ჩუმად გადამალვა
ქაბიჭები... მთელი გუნდი
თან დაყვება ლაშქრად,
პ.ტ. კოოპერ მმა-ბიჭურად
ს...დილად და ვახშმად...

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ შალვა აშკარად პრეტენზიას წარმოგიდგინებ: ჯერ ერთი სიტყვა „ნოქარი“ საბჭოთა ვაჭრობის ლექსიკონიდან დიდი ხანია, რაც ამოშლილია. მეორეც—თუ დახლ-ქვეშ მალავს, ამის ვასამართლებელი საბუთიც ჰქონია, რადგან თქვენვე აცხადებთ, რომ „ქაბიჭების მთელი გუნდი თან დაყვებაო“—ალბათ, ის ქაბიჭებისაგან მალავს, რომ ნამდვილ მომხმარებლებს შეუნახოს. აბა, მამ როგორ გინდათ?—ქაბიჭებს გაატანოს?

მაინც ვასრულებთ თქვენს თხოვნას ამ ლექსის მოთავსების შესახებ, იმ მიზნით, რომ შალვას სახელი შევიდეს ისტორიაში.

შალვას (წულუკიძის რ. სოფ. წვარსკვლავი) მივიღეთ თქვენი ლექსი ადგილობრივ სამკითხველოს შესახებ. ჩვენ უთქვენოდაც ვიცით მისი უმწეო მდგომარეობა, მაგრამ მაინც, ვერ ვასრულებთ თქვენს თხოვნას:

ნიანგო, თქვენი ჩანგალი
გამოუგზავნეთ გამგესა, —
იქნება გამოაცოცხლოს,
მოკიდოს ხელი საქმესა.

გულუბრყვილო თხოვნაა: ნიანგი არასოდეს არ დათანხმდება თავისი ჩანგალი სხვას გაუგზავნოს და მერე ისიც ისეთი უქნარა გამგეს, რომელსაც თავისი საქმისათვისაც კი ვერ მოუკიდია ხელი. უმჯობესი იქნება ჩანგალი ჩვენივე წარმომადგენელს გამოვატანოთ, რომელსაც ის მოხერხებულად გამოიყენებს გამგის მიმართ.

მ. წ—ას (ჭუბურისხინჯი, გალის რაიონი) საინტერესო ცნობა მივიღეთ თქვენგან ლექსად დაწერილი. რისთვისაც ჩვენი გოდორის განყოფილების გამგე უღრმეს მადლობას გიძღვნით. ჭუბურისხინჯში არაჩვეულებრივი ამბავი მომხდარა: დიდიხანი არაა, რაც თქვენი კოოპერატივის შენობაზე მუშაობს დაუწყიათ (სულ რაღაც ოთნი წელიწადი ყოფილა) და, რაც მთავარია და საინტერესო, მშენებელს საუცხოვო გამოგონება ჰქონია და ყურადღება არავის მიუქცევია: მისი გამოგონების მიხედვით შენობის აშენება საძირკვლის ჩაყრით არ იწყება— არამედ სულ უბრალოდ, შენობა შენდება უსაძირკველად. ფასადს გაუყეთებს და შემდეგ გადახურავს. ეს გამოგონება ერთობ დიდ ეკონომიას იძლევა. საჭიროა ეს საინტერესო ამბავი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს თქვენი ლექსით:

კოოპერატივს შენობა
არა აქვს დიდი ხანია,
ნიანგო, გთხოვ მის მშენებელს
დასცხო, აუწვა კანია.
ოუმცა ააგეს ფასადი,
სახურავს ვნახავთ ჩვენ მალე,
საძირკველი კი არსად ხჩანს
არ ვიცი ვის დავაბრალებ?

უეჭველია კოოპერატივს შენობის მშენებელი სახელს გაითქვამს ამ იშვიათი გამოგონებისათვის და თქვენც—მისი პოპულარიზაციისათვის.

ისპორიის პანაჩეანი

„საფრანგეთში ომის პროცესშივე გადააყენეს ის მინისტრები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ომის წამოწყებაში... ინგლისში კი... ავენ ჩემბერლენის სახელმწიფო პოსტებიდან გაძევებას...“

(გაზეთებიდან)

